



# ახალგაზრდობის ინდექსი

საქართველო, 2020



# ახალგაზრდობის ინდექსი

საქართველო, 2020

---

წინამდებარე კვლევა ჩატარდა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისისა და გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში, რომელიც შვედეთის მთავრობის დაფინანსებით ხორციელდება. პროექტი განხორციელდა ახალგაზრდობის სააგენტოსთან მჭიდრო პარტნიორობით. ამ ანგარიშში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორებს და არ წარმოადგენს UNFPA-ს შეხედულებებს

© UNFPA 2020

**ავტორები: რატი ჭეიშვილი, ნინა გოგოლაძე**

## შინაარსი

შესავალი.....	5
ახალგაზრდობის ინდექსის მიზანი .....	6
ახალგაზრდობის ინდექსის მიმართულებები.....	7
ახალგაზრდობის ინდექსის მეთოდოლოგია.....	7
ზოგადი ინფორმაცია საქართველოში ახალგაზრდების შესახებ .....	9
მიმართულება 1: განათლება.....	13
მიმართულება 2: დასაქმება.....	18
მიმართულება 3: მონაწილეობა .....	23
მიმართულება 4: უსაფრთხოება და სოციალური დაცვა.....	28
მიმართულება 5: ჯანმრთელობა .....	32
მიმართულება 6: გენდერი.....	37

ქვეყნის გრძელვადიანი, დემოკრატიული და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის ახალგაზრდები განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენს. საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული ხედვა<sup>1</sup> აღიარებს ახალგაზრდების მნიშვნელოვან როლს აღნიშნულ პროცესში, შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკით გათვალისწინებულია ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა, სადაც ისინი შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და აქტიურად ჩართვას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

2019 წლის მონაცემებით საქართველოში 688,792 ათასი 15-29 წლის ახალგაზრდა ცხოვრობს, რაც მოსახლეობის 18.5%-ს შეადგენს. უკანსკნელ ათწლეულებში ახალგაზრდების რიცხოვნობა მუდმივად იკლებდა, ხოლო 2014-დან 2019 წლამდე - 98,011 ათასით (12.5%-ით) შემცირდა<sup>2</sup>. არსებული მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ ახალგაზრდები მრავალი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგანან ყველა მიმართულებით, იქნება ეს დასაქმება, განათლება, მონაწილეობა, ჯანმრთელობა, ჯანსაღი ცხოვრება, დანაშაულის პრევენცია თუ სხვა. ახალგაზრდა მოსახლეობის კლება და მათ წინაშე არსებულ გამოწვევებთან გამკლავება საჭიროებს ეფექტიანი ახალგაზრდული პოლიტიკის გატარებას, რაც შეუძლებელია მტკიცებულებებისა და სანდრო ინფორმაციის გარეშე.

ახალგაზრდობის ინდექსი ხელს უწყობს ახალგაზრდების მდგომარეობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვებას, რათა პოლიტიკის მიმღებმა თუ სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა შეაფასონ ახალგაზრდული პოლიტიკის ზეგავლენა, მიღწეული პროგრესი და, მტკიცებულებაზე დაყრდნობით, მიიღონ შესაბამისი სტრატეგიული გადაწყვეტილებები ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისა და მათი პოტენციალის სრულად რეალიზების მიზნით.

### რა არის ახალგაზრდული პოლიტიკა

ახალგაზრდული პოლიტიკა საჯარო პოლიტიკის ერთ-ერთი კატეგორიაა, რომელიც სპეციფიკური სამიზნე ჯგუფის - ახალგაზრდების მხარდაჭერას ისახავს მიზნად. „ახალგაზრდული პოლიტიკა არის ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული სტრატეგია, რომ ახალგაზრდებმა მიიღონ შესაძლებლობები და გამოცდილება, რომელიც ხელს შეუწყობს მათ წარმატებულ ინტეგრაციას საზოგადოებაში და საშუალებას მისცემს მათ, იყვნენ საზოგადოების აქტიური და პასუხისმგებლიანი წევრები და ცვლილების აგენტები. ის 4 მიმართულებას მოიცავს, რომლებიც ახალგაზრდების ცხოვრების ყველა ასპექტს ეხება: ა) კარგ ფორმაში ყოფნა (ფიზიკურად და მენტალურად); ბ) სწავლება (ფორმალური, არაფორმალური და ფორმალურს გარე); გ) მონაწილეობა; და დ) ინკლუზია. ახალგაზრდული პოლიტიკა ემსახურება ყველა ახალგაზრდას, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, 2014.

<sup>2</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ეფექტიანი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ახალგაზრდობის მდგომარეობის მუდმივი გაზომვისა და შეფასების პირობებში, სანდო მტკიცებულებებსა და მონაცემებზე დაყრდნობით, რასაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ახალგაზრდობის ყოვლისმომცველი ინდექსის დანერგვა.

## ახალგაზრდობის ინდექსის მიზანი

ახალგაზრდობის ინდექსის მიზანია, შეაფასოს, რამდენად უწყობს ხელს არსებული გარემო და სახელმწიფო პოლიტიკა ახალგაზრდების განვითარებას, წარმატებასა და კეთილდღეობას.

### რას ნიშნავს კეთილდღეობა

კეთილდღეობა წარმოადგენს მრავალგანზომილებიან კონცეპციას, რომელიც მოიცავს პიროვნების ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, განათლების სტატუსს, ეკონომიკურ მდგომარეობას, ფიზიკურ უსაფრთხოებას, უფლებებსა და თავისუფლებებთან წვდომას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობას. ის აღწერს თითოეული ადამიანის ხელთ არსებული შესაძლებლობების სიმრავლესა თუ სიმცირეს.

(ახალგაზრდობის კეთილდღეობის გლობალური ინდექსი, 2017.)

ინდიკატორების სისტემის მეშვეობით, რომლებიც თემატურ მიმართულებებშია გაერთიანებული, ახალგაზრდობის ინდექსი იძლევა ფართო სურათს ახალგაზრდების საერთო მდგომარეობის შესახებ. შესაბამისად, ის ეხმარება ხელისუფლებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, გამოკვეთონ საკითხთა ფართო სპექტრი, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს ახალგაზრდობის კეთილდღეობასა და განვითარებას და განსაზღვრონ სფეროები, სადაც მეტი ინვესტირებაა საჭირო. ინდექსი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც უნივერსალურად აფასებს ახალგაზრდობის განვითარებას და პოლიტიკის ზეგავლენას მათს მდგომარეობაზე. იგი არ ზომავს პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით მიღწეულ შედეგებს, თუმცა, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრაზე.

ამგვარად, ახალგაზრდობის ინდექსის მიზანია სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მიღწევებისა და ზეგავლენის შეფასება ახალგაზრდობის საერთო მდგომარეობაზე, ასევე იმ სფეროების გამოვლენა, რომლებიც მეტ ყურადღებას და ინვესტირებას საჭიროებენ.

## ახალგაზრდობის ინდექსის მიმართულებები

საქართველოს ახალგაზრდობის ინდექსი აფასებს ახალგაზრდების მდგომარეობას 29 ინდიკატორით, რომლებიც 6 მიმართულებაშია გაერთიანებული. ეს მიმართულებებია: განათლება, დასაქმება, ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და სოციალური დაცვა, მონაწილეობა და გენდერი. ინდექსში წარმოდგენილია როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი ინდიკატორები (მიმართულებებისა და ინდიკატორების ცხრილი იხილეთ დანართში N1).



## ახალგაზრდობის ინდექსის მეთოდოლოგია

ახალგაზრდობის განვითარებისა და კეთილდღეობის კონცეფციის განხილვა ხდება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების კონტექსტში. 2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა მდგრადი განვითარების დღის წესრიგი, რომელიც წარმოადგენს ყოვლისმომცველ ჩარჩოს 2030 წლისთვის გლობალური განვითარების შესახებ. ის მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას და მისი შესრულება შეუძლებელი იქნება ახალგაზრდებში მეტი ინვესტირების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი ცალკე არ გამოყოფს ახალგაზრდებს, მათი საჭიროებები და როლი ასახულია ზოგიერთ მიზანსა და ინდიკატორში. დღის წესრიგი ასევე აღიარებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების უფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზებას, რადგან მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა მნიშვნელოვნად

არის დამოკიდებული მათი შესაძლებლობების და კომპეტენციების განვითარებაზე, ვინც დღეს ახალგაზრდა ასაკს განეკუთვნება.

ახალგაზრდობის გლობალური ინდექსები გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად დგება. პირველი ასეთი ინდექსი 2013 წელს შეიმუშავა ერთა თანამეგობრობამ. 2014 წელს ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის მიერ შეიქმნა ახალგაზრდობის კეთილდღეობის გლობალური ინდექსი (Global Youth Wellbeing Index), რომელიც მეორედ გამოიცა 2017 წელს. ის მოიცავს 30 ქვეყანას, სადაც ცხოვრობს მსოფლიოს 15-29 წლის ახალგაზრდების დაახლოებით 70%; აერთიანებს 7 მიმართულებას და 35 ინდიკატორს და დამატებით იყენებს ახალგაზრდების გამოკითხვით შეგროვებულ მონაცემებს<sup>3</sup>.

საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით გამოიკვეთა საჭიროება, რომ მსგავსი ყოვლისმომცველი ინდექსები შეიქმნას ეროვნულ დონეზეც, რათა უფრო ნათლად და დეტალურად იქნას აღწერილი ახალგაზრდების მდგომარეობა და შერჩეულ იქნას თითოეული სახელმწიფოსა თუ რეგიონისთვის უფრო ხელმისაწვდომი და მისადაგებული მიმართულებები და ინდიკატორები. ასევე 2015 წლიდან დღემდე საქართველომ მოახდინა გაეროს მდგრადი განვითარების ყველა მიზნის ნაციონალიზება, რაც კიდევ უფრო ამყარებს ეროვნულ დონეზე ახალგაზრდობის ინდექსის შექმნის საფუძველს და ხაზს უსვამს ახალგაზრდობაზე გრძელვადიანი პოზიტიური გავლენის მქონე პოლიტიკის აუცილებლობას.

საქართველოს ახალგაზრდობის ინდექსი შედგენილია ეროვნულ დონეზე მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის გლობალური ინდექსებით გათვალისწინებული მეთოდის მიხედვით, რომელიც აღწერილია 2016 წელს ერთა თანამეგობრობის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში „თანამეგობრობის ახალგაზრდობის განვითარების ინდექსი. ეროვნული და რეგიონული სახელმძღვანელო (რეგიონული და ეროვნული ახალგაზრდობის განვითარების ინდექსის გზამკვლევი)“<sup>4</sup>.

საქართველოს ახალგაზრდობის ინდექსის მიმართულებები და ინდიკატორები შეირჩა რამდენიმე საკითხის გათვალისწინებით:

- გაეროს მდგრადი განვითარების დღის წესრიგი და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის ეროვნული დოკუმენტი;
- ახალგაზრდობის გლობალური ინდექსები;
- საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მოქმედი დოკუმენტის პრიორიტეტული მიმართულებები;

<sup>3</sup> Global Youth Wellbeing Index, 2017.

<sup>4</sup> Commonwealth Youth Development Index, National and Regional Toolkit: A Guide for Developing Regional and National Youth Development Indices, 2016.



- საქართველოში არსებული რეალობა და ინდექსის შედგენის მომენტისთვის ხელმისაწვდომი მტკიცებულებები, რომლებიც რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემებით ასახავს ქვეყანაში ახალგაზრდების ამჟამინდელ მდგომარეობას;

მიუხედავად იმისა, რომ შემოთავაზებული ინდიკატორები, შესაძლოა, სრულად ვერ ასახავდნენ თითოეული მიმართულებით არსებულ სურათს, ისინი წარმოადგენენ, ერთის მხრივ, ახალგაზრდობის გლობალური ინდექსების, ხოლო მეორეს მხრივ, საქართველოში არსებული გამოწვევების ამსახველი ინდიკატორების ოპტიმალურ ნაკრებს (დაწვრილებითი ინფორმაცია მეთოდოლოგიის შესახებ იხილეთ. დანართში N2).

საქართველოს ახალგაზრდობის ინდექსის დოკუმენტში ინდიკატორების რაოდენობრივ მაჩვენებლებს თან ერთვის თითოეული მიმართულების ზოგადი შეფასება და ანალიზი არსებული მტკიცებულებების მიხედვით. გლობალური ინდექსის მეთოდოლოგიის თანახმად, მსჯელობა ეფუძნება შედარებას იდეალურ რეალობასთან (მაგ: ახალგაზრდების უმუშევრობა - 0%, ახალგაზრდების წიგნიერება - 100% და ა.შ.); თუმცა ვითარების ილუსტრაციისთვის აგრეთვე გამოყენებულია შედარება ახალგაზრდების მდგომარეობასთან ევროკავშირის ქვეყნებში.

დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია ზოგადი რეკომენდაციები, რომლებიც გამომდინარეობს არსებული ვითარების ანალიზისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების შესწავლიდან. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ამ დროისათვის არ არსებობს ინდექსის ყველა სასურველი ინდიკატორის შესატყვისი სრულყოფილი მონაცემები, დოკუმენტში შემოთავაზებულია იმ ინდიკატორთა სარეკომენდაციო სიაც, რომელთა გარშემოც უნდა მოხდეს მონაცემთა შეგროვება და რომლებიც უნდა ინტეგრირდეს საქართველოს ახალგაზრდობის ინდექსის პირველსავე განახლებულ დოკუმენტში.

**შენიშვნა:** ახალგაზრდობის ინდექსში პრიორიტეტულია უახლესი (2019-2020 წლების) მონაცემების გამოყენება, თუმცა, რიგ შემთხვევებში, მათი არარსებობის გამო, გამოყენებულია უფრო ადრინდელი (2018-2017 წლების) ინფორმაცია. უფრო ძველი კვლევების შედეგები, ძირითადად, მოყვანილია ცვლილებების დინამიკაზე დაკვირვების მიზნით.

## ზოგადი ინფორმაცია საქართველოში ახალგაზრდების შესახებ

საქართველოს „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“<sup>1</sup>, ახალგაზრდობის ასაკი განსაზღვრულია 14-29 წლით. სწორედ მოსახლეობის ამ სეგმენტს მოიცავს ხელისუფლების მიერ ახალგაზრდობასთან დაკავშირებით განხორციელებული პოლიტიკა და ქმედებები. თუმცა, სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს, რომ მისი მიზნებისა და ამოცანების ეფექტური განხორციელებისა და ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარების უზრუნველსაყოფად, ახალგაზრდული პოლიტიკით გათვალისწინებული რესურსები, მომსახურებები და პროგრამები მიმართული უნდა იყოს ბავშვებზეც სასკოლო ასაკიდან.

„სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“ ასევე ითვალისწინებს სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების ჯგუფებს. ეს ჯგუფებია: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდები; ახალგაზრდები, რომლებიც არ დადიან სკოლაში; არასრულწლოვანი ორსულები/მშობლები; ქუჩაში მცხოვრები და/ან ქუჩაში მომუშავე ახალგაზრდები; მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ახალგაზრდები; სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი და სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული ახალგაზრდები; მძიმე და განუკურნებელი დაავადებების მქონე ახალგაზრდები; ტრეფიკინგის მსხვერპლი ახალგაზრდები; ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონოდ მომხმარებელი ახალგაზრდები; თამბაქოსა და ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობით მომხმარებელი ახალგაზრდები; კანონთან კონფლიქტში მყოფი ახალგაზრდები; ყოფილი მსჯავრდებულები; ძალადობის მსხვერპლი ახალგაზრდები; ახალგაზრდები იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებიდან; საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდები - საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის „ჩართულობა თანამშრომლობის გზით და ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესაბამისად“; ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები ახალგაზრდები; მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდები; ომში დაღუპულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ვეტერანთა შვილები.

2019 წლის მონაცემებით საქართველოში 688,792 ათასი 15-29 წლის ახალგაზრდა ცხოვრობს, რაც მოსახლეობის 18.5%-ს შეადგენს. აქედან 51.9% (357,510 ათასი) მამაკაცია, ხოლო 48.1% (331,282 ათასი) - ქალი<sup>5</sup>.

*15-29 წლის ახალგაზრდების რიცხოვნობა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ასაკის და სქესის მიხედვით, ათასი კაცი*

ასაკი	2019		
	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი


<sup>5</sup> 15-29 წლის ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონების, საქალაქო-სასოფლო დასახლებების და სქესის მიხედვით (2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

15-19	205.8	109.1	96.6
20-24	220.6	115.7	104.9
25-29	262.5	132.7	129.8
<b>სულ</b>	<b>688.8</b>	<b>357.5</b>	<b>331.3</b>

წყარო: საქსტატი

უკანსკნელ ათწლეულებში ახალგაზრდების რიცხოვნობა მუდმივად კლებულობდა, ხოლო 2014 წლიდან - 98,011 ათასით (12.5%-ით) შემცირდა:

15-29 წლის ახალგაზრდების რიცხოვნობა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ათასი კაცი



წყარო: საქსტატი

15-29 წლის ახალგაზრდების უმრავლესობა (59.9%) ქალაქებში ცხოვრობს, მათი 33.2% კი - თბილისში. თბილისის შემდეგ ახალგაზრდების ყველაზე დიდი რაოდენობა იმერეთისა (12.7%) და ქვემო ქართლის (12.5%) რეგიონებშია, ხოლო ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში - 0.5%<sup>6</sup>:

მთლიანი მოსახლეობის და 15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება რეგიონების მიხედვით. %:


	მთლიანი მოსახლეობა	15-29 წლის ახალგაზრდები
ქ. თბილისი	29.9	33.2

<sup>6</sup> 15-29 წლის ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონების, საქალაქო-სასოფლო დასახლებების და სქესის მიხედვით (2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	9.0	10.0
გურია	3.1	2.5
იმერეთი	14.4	12.7
კახეთი	8.6	7.7
მცხეთა-მთიანეთი	2.5	2.5
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0.9	0.5
სამეგრელო-ზემო სვანეთი	8.9	7.4
სამცხე ჯავახეთი	4.3	4.5
ქვემო ქართლი	11.4	12.5
შიდა ქართლი	7.1	6.7

რეგიონებში ახალგაზრდების წილი მოსახლეობაში ყველაზე მაღალია თბილისსა (23.1%) და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (23.0%), ხოლო ყველაზე დაბალი - რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (12.3%):

*15-29 წლის ახალგაზრდები % წილი რეგიონის მოსახლეობაში*



როგორც მონაცემებიდან ვხედავთ, ახალგაზრდების რაოდენობა საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა. ამის მიზეზებად მიჩნეულია ქვეყნიდან გაზრდილი მიგრაცია და შობადობის დაბალი დონე<sup>7</sup>. ახალგაზრდების ნახევარზე მეტი ქალაქში ცხოვრობს, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში მათი რაოდენობა შედარებით მცირეა.

<sup>7</sup> 15-29 წლის ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონების, საქალაქო-სასოფლო დასახლებების და სქესის მიხედვით (2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

<sup>8</sup> საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2018

## მიმართულება 1: განათლება

ინდიკატორები:

- წიგნიერების დონე
- საბაზო განათლებაში ჩართულობა
- სწავლის ნაადრევად შეწყვეტა
- ინტერნეტის გამოყენება

<p>ახალგაზრდების <b>99.64%-ს</b> შეუძლია წაიკითხოს და დაწეროს მარტივი ტექსტი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ</p>	<p>საბაზო განათლებაში მთლიანი ჩართულობის დონე <b>105.98%-ს</b> შეადგენს</p>
<p>ახალგაზრდების <b>8.9%-მა</b> შეწყვიტა სწავლა ნაადრევად</p>	<p>ახალგაზრდების <b>96.2%</b> იყენებს ინტერნეტს</p>

განათლების მიმართულება შეესაბამება მდგრადი განვითარების მე-4 მიზანს „ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის“ და აფასებს განათლების ხელმისაწვდომობას ახალგაზრდებისთვის, მის ხარისხს და საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასწრებას. ყველა ახალგაზრდას უნდა ჰქონდეს წვდომა ხარისხიან განათლებაზე, რომელიც ხელს უწყობს მათს განვითარებას, ჯანმრთელობას, დასაქმებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას.

ახალგაზრდების წიგნიერების კუთხით ინფორმაციის უახლეს წყაროს წარმოადგენს გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკო) 2017 წლის მონაცემები, რომლის მიხედვითაც საქართველოში 15-24 წლის ახალგაზრდების წიგნიერების დონე 99.64%-ია, მათ შორის ქალების - 99.49%, ხოლო მამაკაცების - 99.77%. ეს მაჩვენებელი მცირედით არის შემცირებული წინა წლებთან შედარებით: 99.7% - 2014 და 99.83% - 2002 წლებში<sup>9</sup>. წიგნიერების შეფასების მხრივ ასევე

<sup>9</sup> იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი, <http://uis.unesco.org/en/country/ge>

საყურადღებოა მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) 2018 წლის შედეგები<sup>10</sup>, რომლის თანახმადაც 15 წლის მოსწავლეებს შორის წაკითხულის გააზრების ქულა 380-ს შეადგენს მაშინ, როდესაც კვლევაში ჩართული 79 ქვეყნის საშუალო მაჩვენებელია 489.

იუნესკოს 2018 წლის მონაცემებით საბაზო განათლებაში მთლიანი ჩართულობის დონე 105.98%-ს შეადგენს<sup>11</sup>. ეს ინდიკატორი ასახავს, მიუხედავად ასაკისა, მოსწავლეების საერთო რაოდენობის შეფარდებას იმ ადამიანებთან, რომლებიც საბაზო განათლების ასაკობრივ ჯგუფში შედიან. სკოლაში დაგვიანებით შესვლის და კლასის განმეორების გამო მთლიანი ჩართულობის დონე შესაძლოა, 100%-ს აღემატებოდეს. გოგონების მთლიანი ჩართულობის დონე არის 106.78%, ხოლო ბიჭების - 105.27%. 2014 წლიდან ეს მაჩვენებლები ყოველწლიურად იზრდებოდა:

მთლიანი ჩართულობის დონე	2014	2015	2016	2017	2018
სულ	97.45	99.35	100.91	103.38	105.98
ქალები	99.14	100.8	101.85	103.96	106.78
მამაკაცები	95.95	98.08	100.08	102.87	105.27

წყარო: იუნესკო

მთლიანი ჩართულობის მაღალი მაჩვენებელი ასახავს მონაწილეობის მაღალ დონეს მიუხედავად იმისა, მოსწავლეები მიეკუთვნებიან ზოგადი განათლების ასაკობრივ ჯგუფს თუ არა. თუ მაჩვენებელი უახლოვდება ან სცდება 100%-იან ნიშნულს, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანას შეუძლია სასკოლო ასაკის მთლიანი მოსახლეობის უზრუნველყოფა საბაზო განათლებით, თუმცა ეს მაჩვენებელი არ ადგენს მათი ჩართულობის დონეს. ამიტომ, 100%-იანი მაჩვენებლის მიღწევა აუცილებელია, მაგრამ არა საკმარისი და მომავალში უნდა შემცირდეს სკოლაში ადრე ან დაგვიანებით შესვლის და კლასის განმეორების შემთხვევები.

ამ მხრივ, მნიშვნელოვანია წმინდა ჩართულობის დონეც, რომელიც ასახავს საბაზო განათლების შესაბამისი ასაკის მოსწავლეების რაოდენობის შეფარდებას იმ ადამიანებთან, რომლებიც საბაზო განათლების ასაკობრივ ჯგუფში შედიან. იუნესკოს 2018 წლის მონაცემებით საბაზო განათლებაში წმინდა ჩართულობის დონე შეადგენს 95.95%-ს, (მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მიხედვით ამავე წლისათვის ეს მონაცემი 96%-ია<sup>12</sup>). მათ შორის გოგონების ჩართულობა - 96.84%-ს, ხოლო ბიჭების - 95.16%-ს მოიცავს. 2014 წლიდან ეს მაჩვენებლები ყოველწლიურად იზრდებოდა<sup>13</sup>:

წმინდა ჩართულობის დონე	2014	2015	2016	2017	2018
------------------------	------	------	------	------	------

<sup>10</sup> Georgia, Student performance (PISA 2018),

<https://gpseducation.oecd.org/CountryProfile?plotter=h5&primaryCountry=GEO&treshold=10&topic=PI>

<sup>11</sup> იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი, <http://uis.unesco.org/en/country/ge>

<sup>12</sup> MICS, 2019, [https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-11/education\\_ge.pdf](https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-11/education_ge.pdf)

<sup>13</sup> იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი, <http://uis.unesco.org/en/country/ge>



სულ	90.22	91.3	92.41	94.21	95.95
ქალები	91.58	92.79	93.52	95.05	96.84
მამაკაცები	89.01	89.98	91.44	93.47	95.16

წყარო: იუნესკო

ამასთან, უნდა აღნიშნოს, რომ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს განათლების ხარისხი. მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) 2018 წლის შედეგებით<sup>14</sup> საქართველო 79 ქვეყანას შორის ბოლოდან მე-7 ადგილზეა. PISA ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) პროგრამაა, რომელიც იკვლევს 15 წლის სკოლის მოსწავლეების იმ უნარებს, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებაში სრულფასოვანი მონაწილეობისთვის. ანგარიშის მიხედვით, 2015 წლის მონაცემებთან შედარებით, ქართველი მოსწავლეების შედეგები სამივე მთავარი მიმართულებით (წაკითხულის გააზრება, მათემატიკა, მეცნიერებები) მკვეთრად არის გაუარესებული. წაკითხულის გააზრებაში მოსწავლეებს 380 ქულა აქვთ (OECD-ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი - 487), მათემატიკაში - 398 (OECD-ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი - 489), ხოლო მეცნიერებებში - 383 (OECD-ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი - 489).

2019 წელს 15-29 წლის ახალგაზრდების 8.9%-მა შეწყვიტა სწავლა ნაადრევად ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურებზე<sup>15</sup>. ინდიკატორი აერთიანებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ახალგაზრდა ჩაირიცხა განათლების ზოგად, პროფესიულ ან უმაღლეს საფეხურებზე, თუმცა დასრულებამდე გამოეთიშა პროგრამას. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა შეწყვიტა 7219 მოსწავლემ, მათ შორის 2751 გოგო იყო, ხოლო 4468 - ბიჭი. რეგიონების მიხედვით ყველაზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა თბილისში, ქვემო ქართლსა და კახეთში:

რეგიონი	გოგო			ბიჭი		
	15-19	20-24	25-29	15-19	20-24	25-29
აფხაზეთი	20			23		
აჭარა	204	7		366	10	1
გურია	52	1		102	2	2
თბილისი	774	9		1419	23	1
იმერეთი	207	6		362	7	
კახეთი	296	3		474	13	1
მცხეთა-მთიანეთი	36	2		96	2	
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	3			13		
სამეგრელო-ზემო სვანეთი	156	3	1	228	2	

<sup>14</sup> Georgia, Student performance (PISA 2018),

<https://gpseducation.oecd.org/CountryProfile?plotter=h5&primaryCountry=GEO&threshold=10&topic=PI>

<sup>15</sup> საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სამცხე-ჯავახეთი	97		1	118		
ქვემო ქართლი	723	9	1	941	15	
შიდა ქართლი	137	3		238	8	1


წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

საქსტატის 2019 წლის მონაცემებით, 15-29 წლის ახალგაზრდების 96.2%-მა გამოიყენა ინტერნეტი ბოლო 3 თვის განმავლობაში<sup>16</sup>:

2019, ივლისი	ბოლო 3 თვის განმავლობაში	96.2
	3 თვეზე მეტი ხნის წინ	0.4
	არასდროს	3.4

წყარო: საქსტატი

ევროკავშირის ქვეყნების (28 ქვეყანა) საშუალო მაჩვენებელი ახალგაზრდებისთვის ინტერნეტის ხელმისაწვდომობის კუთხით 99%<sup>17</sup>. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ეს პროცენტი დაახლოებით 3%-ით ნაკლებია, ბოლო 3 წლის მონაცემების მიხედვით, იკვეთება მნიშვნელოვანი გაუმჯობესება - 2016 წელთან შედარებით ახალგაზრდების მიერ ინტერნეტის გამოყენება 7.2%-ით არის გაზრდილი:



წყარო: საქსტატი

კომპიუტერთან შედარებით (84.7%), ახალგაზრდები მობილურ ტელეფონებს უფრო მეტად იყენებენ (98.1%). იმ ახალგაზრდებს შორის, ვინც ინტერნეტი ბოლო 3 თვის განმავლობაში გამოიყენა, 95.9% ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე სარგებლობს ინტერნეტით:

<sup>16</sup> საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებში, სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

<sup>17</sup> Eurostat. 2019.



2019, ივლისი	ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე	95.9
	კვირაში ერთხელ მაინც (მაგრამ არა ყოველდღე)	3.5
	უფრო იშვიათად, ვიდრე კვირაში ერთხელ	0.6

წყარო: საქსტატი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეების 100% სწავლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს I, V, VI კლასებში, სადაც ის სავალდებულო საგანია.

ყველაზე ხშირად ახალგაზრდები ინტერნეტს იყენებენ სოციალური ქსელებისთვის (98.6%), ინტერნეტ აუდიო/ვიდეო კავშირისთვის (89.4) და ელექტორნული ფოსტისთვის (67.7%), თუმცა ახალგაზრდების მიერ ინტერნეტის გამოყენება საგანმანათლებლო მიზნებისათვის, რამაც განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა კორონავირუსის პანდემიის პირობებში, შესწავლილი არ არის.

15-29 წლის ახალგაზრდების განაწილება ინტერნეტის გამოყენების ძირითადი მიზნების მიხედვით % (ვინც ინტერნეტით ისარგებლა ბოლო 3 თვის განმავლობაში)		
2019, ივლისი	სოციალური ქსელების გამოყენება	98.6
	ონლაინ ახალი ამბების/გაზეთების/ჟურნალების წაკითხვა	56.4
	ელ. ფოსტის მიღება/გაგზავნა	67.7
	ინტერნეტ აუდიო/ვიდეო კავშირი	89.4
	ჯანმრთელობის საკითხებზე ინფორმაციის მოძიება	47.1
	საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოძიება	48.1
	სამუშაოს ძიება ან სამუშაოსთვის აპლიკაციების გაგზავნა	25.6
	ინტერნეტ ბანკინგით სარგებლობა	35.2
	პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტის (გარდა თამაშებისა) ჩამოტვირთვა	34.6

წყარო: საქსტატი

### შეჯამება:

ახალგაზრდების თითქმის 100% შეუძლია კითხვა და მარტივი ტექსტის წერა (UNESCO). რაც შეეხება წაკითხულის გააზრებას, ამ მხრივ მოსწავლეთა უნარები წინა წლებთან შედარებით მკვეთრად გაუარესებულია (PISA). ახალგაზრდებისათვის სრულად ხელმისაწვდომია საბაზო განათლება; ამავე დროს, მაღალია ახალგაზრდების მიერ სწავლის შეწყვეტის პროცენტი, რაც, მიზეზების შესასწავლად, უფრო ჩადრმავებულ კვლევას საჭიროებს.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების თანახმად, ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა ინტერნეტზე 96%-ს აჭარბებს. სასკოლო სავალდებულო პროგრამის ფარგლებში მოსწავლეებს ასევე აქვთ შესაძლებლობა, აითვისონ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისათვის საჭირო უნარები, თუმცა იკვეთება ისეთი კვლევის აუცილებლობა, რომელიც გაზომავს ახალგაზრდებში ციფრული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის გამოყენებას განათლების მისაღებად, განსაკუთრებით კოვიდ 19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში, რაც გულისხმობს არა მხოლოდ რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ შესწავლას. ამასთან, მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ციფრული უნარების და/ან შესაბამისი სასწავლო პროგრამების ხარისხის კვლევა.

განათლების მიმართულებაში დაჯგუფებული ინდიკატორები სრულად ვერ ასახავენ განათლების მიმართულებით ქვეყანაში არსებულ ვითარებას და ამ ვითარების გავლენას ახალგაზრდების მდგომარეობაზე. ახალგაზრდებთან კონსულტაციების, ასევე ლოკალური მასშტაბით ჩატარებული კვლევების შედეგად ხშირად იკვეთება ახალგაზრდების უკმაყოფილება მათთვის ხელმისაწვდომი განათლების ხარისხით, თუმცა აღნიშნული კვლევები სპორადულია და ნაკლებად ასახავს სრულ სურათს. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ მოხდეს განათლების ხარისხით ახალგაზრდების კმაყოფილების ჩალრმავებული კვლევა და შესაბამისი ინდიკატორი დაემატოს ახალგაზრდობის ინდექსის უახლეს განახლებულ დოკუმენტს.

ასევე, განათლების ხარისხის ერთ-ერთი ინდიკატორია ახალგაზრდების დასაქმების პროცენტი და თვისობრიობა. ამიტომ განათლებისა და დასაქმების მიმართულებები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში განიხილება.

## მიმართულება 2: დასაქმება

ინდიკატორები:


- უმუშევრობის დონე
- ხანგრძლივი დროით უმუშევრობა
- NEET მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდები



არ არის დასაქმებული, არ დადის საგანმანათლებლო დაწესებულებაში, არ არის ჩართული არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობაში

დასაქმების მიმართულება შეესაბამება მდგრადი განვითარების მე-8 მიზანს „სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის“ და აფასებს, რამდენად არიან ახალგაზრდები დასაქმებული, რამდენად ადვილია განათლების სისტემიდან სამსახურზე გადასვლა, რამდენად ხელმისაწვდომია სხვადასხვა შესაძლებლობები უმუშევრობის შემთხვევაში, და რამდენად არიან ჩართული განათლებაში ან ტრენინგში, რომელიც ხელს უწყობს დასაქმებას.

საქსტატის 2019წლის მონაცემებით 15-29 წლის ახალგაზრდების უმუშევრობის დონე 24.1%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი 2014 წელთან შედარებით 6.5%-ით არის შემცირებული:



წყარო: საქსტატი


ახალგაზრდების ეკონომიკური აქტიურობის დონე 51.7%-ია. ის ყველაზე მაღალი 25-29 წლის ახალგაზრდებშია (73.9%), ხოლო ყველაზე დაბალი - 15-19 წლის ახალგაზრდებში (15.5%):

	15-19	20-24	25-29
სულ მოსახლეობა	206.0	199.7	249.1
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	31.9	122.6	184.0
უმუშევრობის დონე (პროცენტებში)	29.7	30.5	18.9
აქტიურობის დონე (პროცენტებში)	15.5	61.4	73.9

*წყარო: საქსტატი*

ევროკავშირის ქვეყნებში (28 ქვეყანა) ახალგაზრდების უმუშევრობის დონის საშუალო მაჩვენებელი 11.2%, რაც ორჯერ ნაკლებია საქართველოში ახალგაზრდების უმუშევრობის დონეზე, თუმცა ცალკეული ქვეყნებში (ჩრდილოეთ მაკედონია, საბერძნეთი და ესპანეთი) ეს პროცენტი საქართველოს მაჩვენებელზე მაღალია (30.5%, 28.9% და 24.7%)<sup>18</sup>.


მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 2014 წლიდან ახალგაზრდების უმუშევრობის დონე მცირედით შემცირდა, ის გაცილებით აღემატება როგორც მთლიანად მოსახლეობის უმუშევრობის დონეს, ასევე 30 წლის ზემოთ ასაკობრივი ჯგუფისას. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ახალგაზრდები ყველაზე მწვავედ განიცდიან დასაქმების პრობლემას მოსახლეობის სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით და ეს ვითარება უცვლელი რჩება წლების განმავლობაში:



*წყარო: საქსტატი*

2019 წლის მონაცემებით, ხანგრძლივი დროით (1 წელი და მეტი) უმუშევარი 15-29 წლის ახალგაზრდების წილი მთლიანად უმუშევარ ახალგაზრდებში შეადგენს 26.1%-ს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორ წელიწადში იკვეთება კლების ტენდენცია, 2014 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი მაინც მნიშვნელოვნად გაზრდილია:

<sup>18</sup> Eurosta, Youth Unemployment 2019. <https://appsso.eurostat.ec.europa.eu/nui/submitViewTableAction.do>



*წყარო: საქსტატი*

საქსტატის 2019 წლის მონაცემებით, საქართველოში 200.4 ათასი 15-29 წლის ე.წ. NEET მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდა (არ არის დასაქმებული, არ დადის საგანმანათლებლო დაწესებულებაში, არ არის ჩართული არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობაში) ცხოვრობს, რაც შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის 30.6%-ს შეადგენს. გასულ წლებშიც NEET მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდების მაჩვენებელი ყოველთვის ძალიან მაღალი იყო და ახალგაზრდების დაახლოებით მესამედს შეადგენდა. განსაკუთრებით საგანგაშოა ამ მხრივ ახალგაზრდა ქალების რაოდენობა (36.9%):

წელი	არ არის დასაქმებული, არ არის ჩართული სწავლის ან ტრენინგის პროცესში, ათასი კაცი			NEET (%)		
	სულ	ქალი	მამაკაცი	სულ	ქალი	მამაკაცი
2014	246.9	145.5	101.4	33.4	40.2	26.8
2015	222.0	134.1	87.9	31.8	40.3	24.0
2016	217.4	126.8	90.6	32.2	39.7	25.4
2017	210.5	119.4	91.0	30.0	35.9	24.7
2018	217.0	127.1	89.9	31.6	38.9	24.9
2019	200.4	114.1	86.3	30.6	36.9	25.0

*წყარო: საქსტატი*

ევროსტატის 2019 წლის მონაცემებით<sup>19</sup>, NEET მდგომარეობაში მყოფი 15-29 წლის ახალგაზრდების საშუალო მაჩვენებელი ევროკავშირის 18 ქვეყანაში 10.3%-ს შეადგენს, რაც საქართველოს რეალობასთან შედარებით 3-ჯერ დაბალია. განსაკუთრებით საგულისხმოა ის, რომ ახალგაზრდების უმუშევრობის მაგალითისგან განსხვავებით, ევროკავშირის არცერთ ქვეყანაში NEET მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდების რაოდენობა არ არის ისეთი მაღალი, როგორც საქართველოში. ქვეყნებში, სადაც ეს პროცენტი ყველაზე მაღალია (რუმინეთი და ბულგარეთი), იგი არ აღემატება 18.8%, 18.1%-ს.

შეჯამება:

წლების განმავლობაში ახალგაზრდების უმუშევრობა მწვავე პრობლემად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ უმუშევარი ახალგაზრდების პროცენტი 2014 წლიდან მოყოლებული დღემდე 6% შემცირდა, დაუსაქმებელი ახალგაზრდების რაოდენობა ქვეყანაში მნიშვნელოვნად აღემატება 30 წელს ზემოთ ასაკის მოსახლეობის უმუშევრობის დონეს. განსაკუთრებით საყურადღებოა NEET მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდების პროცენტი, რომელიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში წარმოადგენს ახალგაზრდობის დაახლოებით ერთ მესამედს და დინამიკაში თითქმის არ უმჯობესდება.

დასაქმების კუთხით ახალგაზრდების მდგომარეობის შეფასებისათვის მხოლოდ უმუშევრობის დონე და NEET მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდების პროცენტი არ არის საკმარისი. ამისათვის აუცილებელია ახალგაზრდობის ინდექსში შემდეგი ინდიკატორების დამატება, რის საშუალებასაც დღეისათვის არ იძლევა შესაბამისი მონაცემების არარსებობა:

*პირველი სამუშაოს მაძიებელი ახალგაზრდების რაოდენობა და ხანგრძლივობა:* განათლების სისტემიდან სამსახურზე გადასვლის პროცესში ახალგაზრდებს განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდებათ. პირველი სამსახურის ძიების შესწავლა მოგვცემს იმაზე დაკვირვების შესაძლებლობას, თუ რამდენად უწყობს ხელს ახალგაზრდებს გარემო ამ რთული ეტაპის გადალახვაში;

*არაფორმალური დასაქმება,* რაც საშუალებას გვაძლევს, უფრო სრულად დავინახოთ ახალგაზრდების დასაქმების საერთო სურათი და შევაფასოთ, თუ რამდენად დაცულია ახალგაზრდების შრომითი უფლებები;

*ახალგაზრდების კმაყოფილება დასაქმებით,* რომლის დახმარებითაც შეფასდება ახალგაზრდების დასაქმების პრაქტიკები და მათი შესაბამისობა ღირსეული დასაქმების სტანდარტებთან;

<sup>19</sup> Eurostat, NEET rates, 2019. <https://appsso.eurostat.ec.europa.eu/nui/submitViewTableAction.do>

ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა და ჩართულობა არაფორმალურ განათლებასა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობებში: ამ ინდიკატორის დამატება მნიშვნელოვანია იმის შესაფასებლად, თუ რამდენად უწყობს ხელს არსებული პოლიტიკა ახალგაზრდების კომპეტენციების შესაბამისობაში მოყვანას სწრაფად ცვალებად შრომის ბაზართან.

### მიმართულება 3: მონაწილეობა

ინდიკატორები:

- მოხალისეობა
- მონაწილეობა არჩევნებში
- ინტერესების გათვალისწინება პოლიტიკურ დღის წესრიგში
- წარმომადგენლობითობა პარლამენტში
- სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის არსებობა

<p>ახალგაზრდების <b>27%-ს</b> გასული წლის მანძილზე ერთხელ მაინც შეუსრულებია მოხალისეობრივი სამუშაო</p>	<p>ახალგაზრდების <b>52%</b> ძირითადად მონაწილეობს არჩევნებში</p>
<p>ახალგაზრდების <b>25%</b> თვლის, რომ პოლიტიკური დღის წესრიგი მათ ინტერესებს მნიშვნელოვნად ან გარკვეულწილად ითვალისწინებს</p>	<p>საქართველოს პარლამენტის არჩეულ წევრებს შორის <b>0.67%</b> იყო 30 წლამდე</p>
<p>ამჟამად მიმდინარეობს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის <b>განახლების</b> პროცესი</p>	

მონაწილეობის მიმართულება შეესაბამება მდგრადი განვითარების მე-16 მიზანს „მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე“ და აფასებს ახალგაზრდების ჩართულობას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.



ახალგაზრდების მოხალისეობის კუთხით ყველაზე ახალ მონაცემებს გვთავაზობს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევა „თაობა გარდამავალ პერიოდში, ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო“<sup>20</sup>. კვლევის მიხედვით, ახალგაზრდების 27%-მა მიიღო მონაწილეობა მოხალისეობრივ საქმიანობაში ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში. მონაცემი, ფაქტობრივად, იდენტურია, როგორც ასაკობრივ, ისე რეგიონალურ ჭრილში. ახალგაზრდების უმრავლესობა მონაწილეობდა საზოგადოებრივ სამუშაოებში ადგილობრივ თემში (36%), 28% ეხმარებოდა ხანშიშესულ ადამიანებს ან პიროვნებებს სპეცილური საჭიროებებით, დაახლოებით ყოველი მეხუთე რესპონდენტი ეხმარებოდა თავის თანატოლებს სწავლაში (21%).

ამავე კვლევის მიხედვით (კვლევის „თაობა გარდამავალ პერიოდში, ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო“<sup>21</sup>) ახალგაზრდების 56%-ს სჯერა, რომ მათი მოსაზრება მნიშვნელოვანი ან ძალიან მნიშვნელოვანია არჩევნების შედეგებისათვის. შესაბამისად, ის ახალგაზრდები, რომელთაც ხმის მიცემის უფლება აქვთ, ძირითადად მონაწილეობენ არჩევნებში - 52%:

*ხმის მიცემის სიხშირე და არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობა*

ხმის მიცემის სიხშირე	%	არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობა	%
ყველა არჩევნებში	23	ძალიან მნიშვნელოვანია	28
არჩევნების უმრავლესობაში	8	გარკვეულწილად მნიშვნელოვანია	28
რამდენიმე არჩევნებში	21	გარკვეულწილად უმნიშვნელოა	9
არასდროს	16	სრულიად უმნიშვნელოა	10
ჯერ არ მქონია ხმის უფლება	32	არ ვიცი	25

*წყარო: „თაობა გარდამავალ პერიოდში, ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო“*

ზემოთ მოყვანილი მონაცემები ეფუძნება ახალგაზრდების გამოკითხვას. თუმცა მსგავსი ტენდენცია ფიქსირდება 18-35 წლის ასაკობრივ ჯგუფში კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულებების შესახებ ჩატარებული შინამეურნეობების ყოველწლიური კვლევების „კავკასიის ბარომეტრის“ 2019 და 2017 წლების შედეგებით თანახმად <sup>22</sup>:

<sup>20</sup> „თაობა გარდამავალ პერიოდში, ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო“, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, [http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Geo\\_YouthStudy\\_Georgia\\_Web.pdf](http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Geo_YouthStudy_Georgia_Web.pdf)

<sup>21</sup> „თაობა გარდამავალ პერიოდში, ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო“, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, [http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Geo\\_YouthStudy\\_Georgia\\_Web.pdf](http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Geo_YouthStudy_Georgia_Web.pdf)

<sup>22</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდი, <https://caucasusbarometer.org/ge/>



	დიახ	არა	არ ვიცი/უარი პასუხზე
მიიღეთ თუ არა მონაწილეობა 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში?	61	38	0
მიიღეთ თუ არა მონაწილეობა 2018 წლის 28 ნოემბერს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში?	57	41	2
მიიღეთ თუ არა მონაწილეობა 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში?	60	39	1

კვლევის „თაობა გარდამავალ პერიოდში, ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო“<sup>23</sup> მიხედვით, ახალგაზრდების მოსაზრებით, მათი ინტერესები ან არ არის საკმარისად წარმოდგენილი ან საერთოდ არაა წარმოდგენილი პოლიტიკაში. გამოკითხული რესპონდენტების მხოლოდ ორი პროცენტი აღნიშნავს იმას, რომ პოლიტიკური დღის წესრიგი ახალგაზრდების ინტერესებს მნიშვნელოვნად ითვალისწინებს:

*ახალგაზრდობის საკითხების ქართულ პოლიტიკაში გათვალისწინების დონე*

მნიშვნელოვნად	გარკვეულწილად	მცირედ	სრულებით არ არის	არ ვიცი
2%	23%	49%	21%	5%

იმავე კვლევის თანახმად, პოლიტიკური პარტიები, პარლამენტი, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება ახალგაზრდობის მხრიდან ყველაზე ნაკლები ნდობით გამოირჩევიან (25%-26%). გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების მხოლოდ 1% გამოხატავს აშკარა ნდობას (მალიან ვენდობი) ადგილობრივი პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ. რელიგიურ ინსტიტუტებს ყველაზე მაღალი ნდობის დონე აქვთ - გამოკითხული ახალგაზრდების 81% ენდობა ეკლესიას და ზოგადად რელიგიურ ინსტიტუტებს (მალიან - 58%, გარკვეულწილად - 23%), ხოლო რელიგიური ინსტიტუტების შემდეგ ჯარი (76%) და პოლიცია (62%) ლიდერობენ. საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ნდობა უფრო მაღალია, ვიდრე ადგილობრივი პოლიტიკური ინსტიტუტების.

2016 წლის არჩევნების შედეგად საქართველოს პარლამენტის წევრების მხოლოდ 0.67%-ია 30 წლამდე, რაც მთლიან მოსახლეობაში ახალგაზრდების პროცენტულ

<sup>23</sup> „თაობა გარდამავალ პერიოდში, ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო“, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, [http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Geo\\_YouthStudy\\_Georgia\\_Web.pdf](http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Geo_YouthStudy_Georgia_Web.pdf)

შემადგენლობასთან (თითქმის მეოთხედი) შედარებით მნიშვნელოვანი დისბალანსია ახალგაზრდების პოლიტიკური წარმომადგენლობის თვალსაზრისით. საპარლამენტთაშორის კავშირის (IPU) 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, ის ასევე ჩამოუვარდება 30 წლამდე ასაკის პარლამენტის წევრების გლობალურ მაჩვენებელს (2.2%) და საქართველო 147 ქვეყანას შორის 98-ე ადგილს იკავებს<sup>24</sup>.

ახალგაზრდობის მონაწილეობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარ მექანიზმს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი წარმოადგენს, რომლის არსებობაც ახალგაზრდების მონაწილეობაზე გავლენის მქონე მნიშვნელოვანი ინდიკატორია.

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი საქართველოს მთავრობამ 2012 წელს დაამტკიცა, ხოლო მისი შესწორებული და გადამუშავებული რედაქცია - 2014 წელს. 2015 წელს პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად შემუშავდა და დამტკიცდა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა (2015-2020)“. ის მოიცავს 200-ზე მეტ კონკრეტულ და დროში გაწერილ პროგრამას, პროექტსა და ღონისძიებას, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს უნდა განხორციელებინათ ახალგაზრდული პოლიტიკის შესასრულებლად და ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად.

ახალგაზრდული პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასებამ<sup>25</sup> ცხადყო, რომ ახალგაზრდული პოლიტიკის პრაქტიკაში განხორციელება მნიშვნელოვანი გამოწვევა გამოდგა და მისი შესრულება სათანადოდ ვერ მოხერხდა. შეფასების თანახმად, სამოქმედო გეგმის 207 პროგრამიდან დასრულებულია 51, ხოლო მიმდინარეა 55. პროგრამების ნაწილი შეჩერებულია (14), არ განხორციელდა (28) ან ვერ მოხერხდა ინფორმაციის მოპოვება მათი სტატუსის შესახებ (59). რაც უფრო საყურადღებოა, შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს, რა ღირებული და პოზიტიური გავლენა მოახდინა (ან ახდენს) ახალგაზრდების მდგომარეობაზე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პოლიტიკა. ამ დროისათვის მიმდინარეობს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის გადახედვა და ახალი კონცეფციისა და სტრატეგიის შემუშავება.

### შეჯამება:

<sup>24</sup> Youth participation in national parliaments: 2018, Inter-Parliamentary Union, <file:///C:/Users/Rati/Desktop/EN%20-%20Youth%20in%20Parliaments-WEB.PDF>

<sup>25</sup> საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების სტატუსის შეფასება, 2019 (UNFPA, UNDP) <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/128473/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%9D-%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90>

„ახალგაზრდების მონაწილეობა და აქტიური მოქალაქეობა გულისხმობს უფლებების, საშუალებების, სივრცისა და შესაძლებლობათა ქონას, საჭიროების შემთხვევაში კი, მხარდაჭერას, გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობისა და მათზე ზეგავლენის მოხდენისათვის და ღონისძიებებში და აქტივობებში ჩართულობისთვის, რომ ხელი შეუწყონ უკეთესი საზოგადოების მშენებლობას.“<sup>26</sup> მოხალისეობა ახალგაზრდების მონაწილეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად ჩართულები არიან ახალგაზრდები საზოგადოებრივ პროცესებში. იმის გათვალისწინებით, რომ მოხალისეობის ინსტიტუტი ასევე წარმოადგენს ახალგაზრდების პიროვნული თუ პროფესიული განვითარების მნიშვნელოვან წყაროს, აუცილებელია, რომ რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა იყოს ჩართული მოხალისეობრივ საქმიანობაში. არსებული მონაცემებით, ახალგაზრდების მონაწილეობის პროცენტი სასურველთან შედარებით საკმაოდ დაბალია; ამასთანავე, არ ხდება ახალგაზრდების მოხალისეობის შესახებ მონაცემთა რეგულარული შეგროვება, ხოლო არსებული მონაცემები (2016 წლის) მოძველებულია და ვერ ასახავს ამჟამინდელ სურათს. გარდა რაოდენობრივი მონაცემებისა მნიშვნელოვანია, მოხდეს მოხალისეობის ხანგრძლივობის დადგენაც და გამოვლინდეს, თუ რამდენად უწყობს ხელს მოხალისეობის წამახალისებელი მექანიზმები (კანონი მოხალისეობის შესახებ 2015წ.) როგორც ერთჯერადი აქტივობების, ასევე გრძელვადიანი მოხალისეობრივი პროგრამების განხორციელებას.

ახალგაზრდებს უფლება აქვთ, რომ მონაწილეობდნენ იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც მათ ეხებათ და ამისთვის უნდა გააჩნდეთ შესაბამისი მხარდაჭერა. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია სტრუქტურირებული დიალოგის მიდგომის დანერგვით ეროვნულ დონეზე, ხოლო ახალგაზრდული საბჭოებისა და სხვა პლატფორმების მეშვეობით - ადგილობრივ დონეზე. ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფას გადაწყვეტილებების მიღების ეტაპზე შეუძლია პოზიტიური გავლენას მოხდენა პოლიტიკურ დღის წესრიგში ახალგაზრდების ინტერესების გათვალისწინების ინდიკატორზეც, რომლის მაჩვენებელიც ასევე შორსაა სასურველი რეალობისგან (25%). დღესდღეობით განახლებული ინფორმაცია განაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ არ არსებობს. 2014 წელს UNICEF-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ასეთი ახალგაზრდების პროცენტი არ აღემატებოდა გამოკითხულთა 10.9%-ს; შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობა რეგულარულად იზომებოდეს და შესაბამისი ინდიკატორი ინტეგრირდეს ახალგაზრდული ინდექსის მომდევნო განახლებულ დოკუმენტში.

ახალგაზრდების წარმომადგენლობითობა პარლამენტში რეკომენდებულზე გაცილებით დაბალია. IPU-ს რეკომენდაციის თანახმად, ახალგაზრდების

---

<sup>26</sup> Revised European Charter on the Participation of Young People in Local and Regional Life, 2003.

წარმომადგენლობითობის პროცენტი ცენტრალურ საკანონმდებლო ორგანოში უნდა უახლოვდებოდეს ამომრჩევლების მთლიანი რაოდენობიდან ახალგაზრდა ამომრჩევლების პროცენტულ წილს. ასევე რეკომენდებულია, კვლევებმა ასახოს ახალგაზრდების წარმომადგენლობითობა ადგილობრივ დონეზეც (მუნიციპალიტეტის საკრებულოებში) და შესაბამისი ინდიკატორი დაემატოს ახალგაზრდობის ინდექსის ინდიკატორთა ნუსხას.

რაც შეეხება ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის არსებობის ინდიკატორს, საქართველოში ასეთი დოკუმენტი 2012 წლიდან არსებობს, თუმცა 2019 წელს ჩატარებული შეფასების თანახმად, გამოწვევად რჩება ახალგაზრდული პოლიტიკის სათანადო მასშტაბითა და ხარისხით განხორციელება, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

## მიმართულება 4: უსაფრთხოება და სოციალური დაცვა


ინდიკატორები:

- სისხლის სამართლის სამართალდარღვევათა რაოდენობა
- სატრანსპორტო შემთხვევები
- ძალადობის მაჩვენებელი
- სიღარიბეში მცხოვრები ახალგაზრდები

2019 წელს ყოველ 100 000 ახალგაზრდაზე მოდის ახალგაზრდების მიერ ჩადენილი 755 სისხლის სამართლის დანაშაული.	2019 წელს ყოველ 100 000 ახალგაზრდაზე ახალგაზრდების მიერ ჩადენილი ძალადობის დანაშაულის კოეფიციენტი 76 შეადგინა.
2019 წელს ყოველი 100 000 ახალგაზრდიდან 19 სატრანსპორტო უბედური შემთხვევების შედეგად გარდაიცვალა.	2019 წელს ახალგაზრდების 10.4% იღებდა საარსებო შემწეობას

უსაფრთხოებისა და სოციალური დაცვის მიმართულება შეესაბამება მდგრადი განვითარების 1-ლ „სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა“ და მე-16 „მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე“ მიზნებს. ის მიმოიხილავს იმ გარემოს უსაფრთხოებისა და სოციალური პირობების თვალსაზრისით, რომელშიც ახალგაზრდები ცხოვრობენ.

2019 წლის მონაცემებით 14-29 წლის ახალგაზრდების მიერ ჩადენილი 5 204 სისხლის სამართლის დანაშაულია დარეგისტრირებული, რაც 100 000 ახალგაზრდაზე 755-ს შეადგენს. უკანასკნელ წლებში შემდეგი დინამიკა იყო<sup>27</sup>:




2019 წლის მონაცემებით ადგილი ჰქონდა 17-24 წლის ახალგაზრდების მიერ ჩადენილ 528 ძალადობის დანაშაულს, მათ შორის 409 შემთხვევაში ჩამდენი ახალგაზრდა მამაკაცი იყო. შესაბამისად, ყოველ 100 000 ახალგაზრდაზე ძალადობის შემთხვევათა კოეფიციენტი 76-ს შეადგენს. მნიშვნელოვანია ძალადობის ისეთი შემთხვევების განხილვაც, სადაც 17-24 წლის ახალგაზრდები თავად არიან ძალადობის მსხვერპლნი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების თანახმად, 2019 წელს დაფიქსირდა 972 ასეთი შემთხვევა, მათგან 855 შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლს ახალგაზრდა ქალები წარმოადგენენ<sup>28</sup>. უკანასკნელ წლებში შემდეგი დინამიკა იკვეთება<sup>29</sup>:

<sup>27</sup> სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika>

<sup>28</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, <https://info.police.ge/page?id=102>

<sup>29</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2019 <https://info.police.ge/page?id=102>.



საქსტატის მონაცემების მიხედვით 2019 წელს სატრანსპორტო უბედური შემთხვევების შედეგად 15-29 წლის 131 ახალგაზრდა გარდაიცვალა, ხოლო მსუბუქ მანქანაში მყოფი 55 პირი სატრანსპორტო უბედურების დროს დაზარალდა. ყოველი 100 000 ახალგაზრდიდან 19 იღუპება სატრანსპორტო უბედური შემთხვევის შედეგად<sup>30</sup>:

წელი	სატრანსპორტო უბედური შემთხვევები	მსუბუქ მანქანაში მყოფი პირი, დაზარალებული სატრანსპორტო უბედურების დროს	სატრანსპორტო უბედური შემთხვევები, 100 000 ახალგაზრდაზე
2014	149	74	19
2015	179	107	23
2016	172	99	23
2017	129	53	18
2018	123	56	17
2019	131	55	19

წყარო: საქსტატი

2019 წელს საარსებო შემწეობას იღებდა 15-29 წლის 71,513 ათასი ახალგაზრდა, რაც მთლიანი ასაკობრივი ჯგუფის 10.45-ს შეადგენს<sup>31</sup>:

რეგიონი/რაიონი	საარსებოს შემწეობის მიმღები პირთა რაოდენობა					
	15-20		21-25		26-29	
	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი
ქ.თბილისი	3,782	3,862	1,502	2,070	1,166	2,135
გურია	749	776	373	441	358	468

<sup>30</sup> სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019.

<sup>31</sup> სოციალური მომსახურების სააგენტო, 2019.



რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	309	311	183	179	160	148
კახეთი	1,717	1,724	779	982	834	1,252
იმერეთი	2,222	2,264	1,065	1,240	918	1,436
მცხეთა-მთიანეთი	484	474	241	278	170	312
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2,109	2,147	1,072	1,274	1,080	1,539
სამცხე-ჯავახეთი	481	515	172	257	171	287
ქვემო ქართლი	1,952	1,943	708	1,065	707	1,388
შიდა ქართლი	1,732	1,708	810	949	765	1,056
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	1,804	1,937	869	1,345	986	1,321
ზემო აფხაზეთი						
სულ	17,341	17,661	7,774	10,080	7,315	11,342

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო

სოციალური მომსახურების სააგენტოს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 2019 წელს სულ რეგისტრირებული იყო 143,850 ათასი ახალგაზრდა, ხოლო 100 000 ქულამდე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა იყო 94,572 ათასი. 131,416 ათასი ახალგაზრდა იყო რეგისტრირებული მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთაც დეკლარაციის შევსების დროს არ უფიქსირებოდათ ხელფასი<sup>32</sup>.

### შეჯამება

ახალგაზრდების მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის რაოდენობა 2014 წლის მონაცემებთან შედარებით მნიშვნელოვნად არის შემცირებული, თუმცა მაჩვენებელი მაინც მაღალია და საჭიროებს დამატებითი პრევენციული ზომების გატარებას. საყურადღებოა ახალგაზრდების მხრიდან და მათ მიმართ ძალადობის მონაცემებიც, სადაც ახალგაზრდები თითქმის ორჯერ უფრო ხშირად წარმოადგენენ ძალადობის მსხვერპლს, ვიდრე მის ჩამდენს, ხოლო ძალადობის მსხვერპლთა შორის უმეტესობა (972-დან 855) 17-25 წლის ახალგაზრდა ქალებზე მოდის. ახალგაზრდებში ძალადობის ფაქტებმა ბოლო 1 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად იმატა (2018 წ - 376, ხოლო 2019 წ - 528), მოიმატა ახალგაზრდების მიმართ ძალადობამაც (2018 წ - 748; 2019 წ - 972), რაც საყურადღებო ინდიკატორს წარმოადგენს. აღნიშნული მონაცემების წყაროს წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემები და კვლევები, სადაც სამიზნე ასაკობრივ ჯგუფად აღებულია 17-24 წლის ახალგაზრდები და 15-29 წლის ახალგაზრდების ჭრილში ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის. მნიშვნელოვანია, რომ შემდგომი კვლევებისა და მონაცემთა შეგროვების პროცესში სახელმწიფო უწყებებმა დანერგონ ერთიანი მიდგომა და მათ მიერ ახალგაზრდების საკვლევ აუდიტორიად გათვალისწინებული იყოს 15-29 წლის ასაკის მოქალაქეები, რაც განსაზღვრულია 2014 წელს მთავრობის მიერ

<sup>32</sup> სოციალური მომსახურების სააგენტო, 2019

დამტკიცებული საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტით.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები არის 5-29 წლის ასაკის ბავშვებისა და ახალგაზრდების სიკვდილიანობის მთავარი გამომწვევი მიზეზი მსოფლიოს მასშტაბით<sup>33</sup>. საქართველოში ამ მიზეზით ახალგაზრდების გარდაცვალების სტატისტიკაც საყურადღებოა და საჭიროებს კომპლექსური ქმედებების გატარებას გზების, მძღოლებისა და მგზავრების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემების თანახმად, ახალგაზრდების 10.45% უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, თუმცა სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების რაოდენობა ქვეყანაში ორჯერ მეტია. მძიმე ეკონომიკური ფონი და სიღარიბე ზრდის სოციალურ რისკებს და ნეგატიურ ფონს ქმნის დანაშაულის მატების, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა თუ არაჯანსაღი ცხოვრების წესის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ახალგაზრდებში სიღარიბის დაძლევისათვის კომპლექსური ქმედებების გატარება და სპეციალური სერვისების განვითარება სოციალურად არახელსაყრელ პირობებში მცხოვრები ახალგაზრდების მხარდაჭერის, განათლებისა და დასაქმების მიზნით.

## მიმართულება 5: ჯანმრთელობა

ინდიკატორები:

- ფიზიკური აქტივობა
- სიკვდილიანობა
- ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები
- სრულყოფილი ცოდნა აივ ინფექციის პრევენციის შესახებ
- მარიხუანას მოხმარება
- სუიციდის შემთხვევები

ქიმიური და ქცევითი ადიქცია

ახალგაზრდების ფიზიკური აქტივობა არის 19%	ახალგაზრდების სიკვდილიანობის კოეფიციენტი არის 74
15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში ყოველ 100 000 ახალგაზრდაზე 175 ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის შემთხვევა დაფიქსირდა	15-29 წლის ახალგაზრდების 13.5%-ს აქვს სრულყოფილი ცოდნა აივ-ის პრევენციის შესახებ

<sup>33</sup> World Health Organization, "Fact Sheet: Road Traffic Injuries," <http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs358/en/>.




14-24 წლის ახალგაზრდების 15.7%-მა მოიხმარა მარიხუანა ცხოვრების ბოლო 30 დღის განმავლობაში

100 000 ახალგაზრდაზე სუიციდის შემთხვევების კოეფიციენტი შეადგენს 39-ს.

ჯანმრთელობის მიმართულება შეესაბამება მდგრადი განვითარების მე-3 მიზანს „ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის“ და აფასებს ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის შესაძლებლობებს ახალგაზრდებისთვის, ასევე ცხოვრების ჯანსაღ წესს.

ახალგაზრდების ფიზიკური აქტივობის შესახებ 2017 წელზე უფრო ახალი მონაცემები ამ დროისათვის არ მოიპოვება. ამ წელს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მიერ ჩატარებული კლევის მიხედვით ახალგაზრდების ფიზიკური აქტივობის მაჩვენებელი შეადგენს 19%-ს, რაც მცირედით ჩამოუვარდება მოსახლეობის საერთო ფიზიკური აქტივობის მაჩვენებელს, რომელიც 22%-ია. 18-25 წლის ახალგაზრდები ყველა სხვა ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით უფრო ხშირად არიან დაკავებული ამა თუ იმ ფიზიკური აქტივობით<sup>34</sup>.

საქსტატის 2019 წლის მონაცემებით 15-29 წლის ახალგაზრდების ასაკობრივ ჯგუფში 498 გარდაცვალების შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის, 378 მამაკაცის და 120 ქალის. შესაბამისად, ახალგაზრდების სიკვდილიანობის კოეფიციენტმა, რაც გულისხმობს გარდაცვლილთა რაოდენობას ყოველ 100 000 ახალგაზრდაზე, 74 შეადგინა. 2014 წლიდან დღემდე გარდაცვალების კოეფიციენტი შემდეგი დინამიკით იცვლება:



წყარო: საქსტატი

<sup>34</sup> სპორტის სფეროს კვლევა საქართველოში ანგარიში (2017), განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ამ დროისათვის არსებული მონაცემებით 2018 წლის ბოლოს საქართველოს ამბულატორულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში რეგისტრირებულია ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის 76508 შემთხვევა, პრევალენტობა (გავრცელება) – 2053.1, მათ შორის ბავშვებში – 3217 შემთხვევა, პრევალენტობა (გავრცელება) - 429.1. სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით აღრიცხულია 4859 შემთხვევა, ინციდენტობა (ახალი შემთხვევები) – 130.4, მათ შორის 779 ბავშვებში ინციდენტობა – 103.9<sup>35</sup>.

15-24 წლის ახალგაზრდებში 2018 წელს ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების 758 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა.

ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების ახალი შემთხვევების განაწილება ასაკის მიხედვით:

	15-19	20-24
<b>ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები</b>	326	432
მათ შორის:		
ორგანული ბუნების აშლილობები	8	25
ფსიქოაქტიური ნივთიერებით განპირობებული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	2	22
შიზოფრენია, შიზოტიპური და ბოდვითი აშლილობები	77	124
მათ შორის: შიზოფრენია	15	35
გუნებ-განწყობის (აფექტური) აშლილობები	27	42
ნევროზული, სტრესთან დაკავშირებული და სომატოფორმული აშლილობები	61	136
ქცევითი სინდრომები დაკავშირებული ფიზიოლოგიურ დარღვევებთან და ფიზიკურ ფაქტორებთან	1	4
მოზრდილთა პერსონოლოგიური და ქცევითი აშლილობები	0	24
გონებრივი ჩამორჩენილობა	114	49
ფსიქიკური განვითარების დარღვევები	3	2
ბავშვთა და მოზარდთა ასაკში დაწყებული ქცევითი და ემოციური აშლილობები	33	4

*წყარო: დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი*

2018 წელს აივ ინფიცირების 672 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა:

აივ ინფიცირების ახალი შემთხვევები, სულ (ერთეული)				
2014	2015	2016	2017	2018

<sup>35</sup> ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი, საქართველო 2018, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

564	717	719	631	672
-----	-----	-----	-----	-----

წყარო: საქსტატი

საქართველოში მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS) თანახმად<sup>36</sup>, 15-29 წლის ახალგაზრდების 13.5%-ს აქვს სრულყოფილი ცოდნა აივ-ის პრევენციის შესახებ<sup>37</sup>. სწორი ცოდნა მამაკაცებს შორის 14.1%-ია, ხოლო ქალებს შორის - 13.2%. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შემდეგი მდგომარეობაა:

ასაკი, მამაკაცები	%	ასაკი, ქალები	%
15-24	10.9	15-24	11.5
15-19	8.3	15-19	9.5
15-17	8.1	15-17	9.7
18-19	8.7	18-19	9.1
20-24	13.6	20-24	12.9
25-29	20.0	25-29	15.2

ამ დროისათვის არსებული მონაცემების თანახმად, 14-24 წლის ახალგაზრდების 15.7%-მა მოიხმარა მარიხუანა ცხოვრების ბოლო 30 დღის განმავლობაში. მათ შორის 9.3%-ს 14-17 წლის მოზარდები შეადგენენ (ვაჟები 61.2% და გოგონები - 38.8%)<sup>38</sup>. ახალგაზრდების მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების შესწავლისთვის ასევე მნიშვნელოვანია თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარებაზე დაკვირვება; იმავე კვლევის მიხედვით, თამბაქოს, 10 ღერსა და მეტს, ყოველდღიურად ეწევა 14-24 წლის ახალგაზრდების 14%, ხოლო ალკოჰოლის გადამეტებული მოხმარება (ზედიზედ 5 ჭიქა და მეტი ბოლო 30 დღის განმავლობაში) ვლინდება ახალგაზრდების 36.3%-ში.

15-29 წლის ახალგაზრდების ასაკობრივ ჭრილში ალკოჰოლის მოხმარება 70%-ს უტოლდება და მათ შორის არიან ისეთებიც, ვინც რეგულარულად მოიხმარს და ისინიც, ვინც უკიდურესად იშვიათად სვამს ალკოჰოლს. ახალგაზრდების 2% მოიხმარს ალკოჰოლს ყოველდღიურად. მათ შორის, ვინც ყოველკვირეულად მოიხმარს ალკოჰოლს ახალგაზრდა კაცები დომინირებენ (მამრობითი სქესის - 27%, მდედრობითი სქესის - 5%). ალკოჰოლის ყოველკვირეული მოხმარების მაჩვენებელი იზრდება ასაკის მაჩვენებელთან ერთად. მამრობითი სქესის ახალგაზრდების 49%-სთვის ალკოჰოლი მისაღებია, ხოლო 16% თვლის, რომ ალკოჰოლის მოხმარება

<sup>36</sup> საქართველოში მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MICS) 2018-2019, გაეროს ბავშვთა ფონდი, [https://www.unicef.org/georgia/ka/საქართველოში-მრავალინდიკატორული-კლასტერული-კვლევის-mics-ძირითადი-მიგნებები?fbclid=IwAR0b0njdcK3hG8t3msSkI5o6JrCKd5X0aBM\\_O2f-dWbbUIQRxzRoW58owb0](https://www.unicef.org/georgia/ka/საქართველოში-მრავალინდიკატორული-კლასტერული-კვლევის-mics-ძირითადი-მიგნებები?fbclid=IwAR0b0njdcK3hG8t3msSkI5o6JrCKd5X0aBM_O2f-dWbbUIQRxzRoW58owb0)

<sup>37</sup> სრულყოფილი ცოდნა აივ-ის პრევენციის შესახებ მოიცავს იმ მოსახლეობას, რომელთაც იციან აივ-ის პრევენციის ორი გზის შესახებ (მხოლოდ ერთი, არაინფიცირებული, ერთგული სქესობრივი პარტნიორის ყოლა და ყოველი სქესობრივი კავშირისას პრეზერვატივის გამოყენება), იციან რომ აივ-ინფიცირებული ადამიანი შესაძლოა ჯანმრთელად გამოიყურებოდეს და რომელთაც უარყვეს ორი ყველაზე გავრცელებული მცდარი შეხედულება აივ-ის გადაცემის შესახებ

<sup>38</sup> ნარკოტიკის მოხმარებისა და სხვა პრობლემური ქცევების რისკ და დამცავი ფაქტორების კვლევა საქართველოს მოზარდებსა და ახალგაზრდებში. 2019 წ. საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“

აუცილებელია, რათა სხვებმა მიგიღონ<sup>39</sup>. ალკოჰოლის მოხმარების გავრცელება გენდერულ ჭრილში:

	რეგულარულად (ყოველდღე)	კვირაში რამდენჯერმე	მხოლოდ შაბათ-კვირას	იშვიათად	არასდროს	უარი პასუხზე
მამრობითი	3%	15%	9%	55%	17%	2%
მდედრობითი	0%	2%	3%	54%	42%	0%
სულ	2%	9%	6%	54%	29%	1%

წყარო: თაობა გარდამავალ პერიოდში, ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2019 წელს 15-29 წლის ახალგაზრდებში 269 განზრახ თვითდაზიანების მცდელობა დაფიქსირდა, რომელთაგანაც 88 დასრულდა გარდაცვალებით<sup>40</sup>; შესაბამისად, ყოველ 100 000 ახალგაზრდაზე სუიციდის შემთხვევების (რაშიც იგულისხმება როგორც მცდელობა, ასევე გარდაცვალებით დასრულებული შემთხვევა) კოეფიციენტი 39 შეადგინა, რაც, ბოლო სამი წლის განმავლობაში, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

წელი	განზრახ თვითდაზიანების მცდელობა	განზრახ თვითდაზიანების შედეგად გარდაცვალება მცდელობების საერთო რაოდენობიდან	განზრახ თვითდაზიანება, 100 000 ახალგაზრდაზე
2017	154	105	21
2018	234	92	33
2019	269	88	39

### შეჯამება

ჯანმრთელობის კუთხით ახალგაზრდების მდგომარეობა მრავალმხრივ მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. ახალგაზრდების ფიზიკური აქტივობა დაბალია (19%); მაღალია ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების ახალი შემთხვევების რაოდენობა 15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში; საყურადღებოა ახალგაზრდებში სუიციდის

<sup>39</sup> „თაობა გარდამავალ პერიოდში, ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო“, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, [http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Geo\\_YouthStudy\\_Georgia\\_Web.pdf](http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Geo_YouthStudy_Georgia_Web.pdf)

<sup>40</sup> შინაგან საქმეთა სამინისტრო

ტრო. <https://info.police.ge/page?id=107>

შემთხვევების მზარდი სტატისტიკა, რომელმაც 2019 წელს ბოლო სამწლეულის რეკორდულ კოეფიციენტს მიაღწია (ყოველი 100 000-დან 39 ახალგაზრდა).

2018 წელს ახალგაზრდებში აივ ინფიცირების 672 შემთხვევა დაფიქსირდა, რაც წინა წელთან შედარებით 41-ით მეტია. ამ ფონზე შემამოფოთებელია ახალგაზრდების ინფორმირებულობის დაბალი დონე აივ ინფექციის პრევენციასთან დაკავშირებით, რის შესახებაც ამომწურავი ცოდნა ახალგაზრდების მხოლოდ 13.5%-ს აქვს.

საერთაშორისო პრაქტიკაში ახალგაზრდების მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება, ძირითადად, თამბაქოს, ალკოჰოლისა და მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების (მათ შორის, მარიხუანას) გამოყენების სიხშირითა და რაოდენობით ფასდება; თუმცა, მსოფლიო ინდექსების გამოცდილების თანახმად, დინამიკაზე დაკვირვების მიზნით ხდება ამ სამიდან მხოლოდ ერთის შერჩევა. ალკოჰოლსა და თამბაქოსთან შედარებით, მარიხუანა გამოირჩევა უფრო ძლიერი ზემოქმედებით და, ამასთანავე, საქართველოში იგი წარმოადგენს არალეგალურ მსუბუქ ნარკოტიკს. შესაბამისად, მისი მოხმარების დინამიკაზე დაკვირვება გარკვეულ ტენდენციებს გვიჩვენებს ახალგაზრდების მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენების კუთხით.

ქიმიური და ქცევითი ადიქციების მაღალ რისკს, მარიხუანას, ალკოჰოლსა და თამბაქოსთან ერთად, შეიცავს აზარტულ თამაშებში ჩართულობა და ტექნოლოგიებთან მიჯაჭვულობა. ამ უკანასკნელთა შესახებ მონაცემები არასრულია, არ არის გამოკვლეული 15-29 წლის ახალგაზრდების ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით, რასაც, სხვა მიზეზებთან ერთად, განაპირობებს ზოგიერთი მიმართულებით სერვისების ნაკლებობა/არარსებობა და საკითხების სენსიტიურობა. ინდექსის შემდგომ განახლებამდე მნიშვნელოვანია ზუსტი და ფართომასშტაბიანი კვლევების ჩატარება ახალგაზრდებში ქიმიური და ქცევითი ადიქციების სრული სურათის გამოსავლენად; ხოლო ახალგაზრდების ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია კომპლექსური საინფორმაციო, საგანმანათლებლო პრევენციული ქმედებების განხორციელება; ასევე ახალგაზრდული ჯგუფების სპეციფიკასა და საჭიროებებზე მორგებული სერვისების შეთავაზება, რომლებიც თანაბრად იქნება ორიენტირებული როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე.


## მიმართულება 6: გენდერი

- ინდიკატორები:
- მოზარდთა შორის შობადობა
- აბორტების რაოდენობა
- ბავშვობის ასაკში ქორწინება
- უსაფრთხოების განცდა ქალებში

<p>მოზარდთა შორის შობადობის კოეფიციენტი არის 29<sup>41</sup></p> <p>ყოველ 15-19 წლის ასაკის 1 000 ქალზე</p>	<p>15-29 წლის ასაკის ყოველ 1 000 ქალზე აბორტების კოეფიციენტი 30 შეადგინა</p>
<p>20-24 წლის ახალგაზრდა ქალების 13.9%</p> <p>18 წლამდე დაქორწინდა</p>	<p>15-29 წლის ახალგაზრდა ქალების 78%</p> <p>თავს უსაფრთხოდ გრძნობს საკუთარ უბანში შებინდების შემდეგ მარტო სიარულისას</p>

გენდერის მიმართულება შეესაბამება მდგრადი განვითარების მე-5 მიზანს „გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება“. ის აფასებს თანაბარი შესაძლებლობების არსებობასა და ხელმისაწვდომობას ახალგაზრდა ქალებისა და მამაკაცებისთვის და ახალგაზრდა ქალების მდგომარეობას.

მოზარდობის პერიოდში ორსულობა ძლიერ გავლენას ახდენს ახალგაზრდა ქალების ჯანმრთელობასა და მათ შესაძლებლობებზე. 2019 წლის საქსტატის მონაცემებით ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნებამ, როდესაც დედის ასაკი 15-19 წელი იყო, 2839 შეადგინა, შესაბამისად, მოზარდთა შორის შობადობის კოეფიციენტი ყოველ 15-19 წლის ასაკის 1 000 ქალზე 29 შეადგინა. 2014 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა:




<sup>41</sup> გაერო-ს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სააგენტოს მსოფლიოს მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, 2006-2017 წლების შეწონილ მონაცემი არის - 44;

[https://www.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/UNFPA\\_PUB\\_2019\\_EN\\_State\\_of\\_World\\_Population.pdf](https://www.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/UNFPA_PUB_2019_EN_State_of_World_Population.pdf)



საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით<sup>42</sup>, 2014 წლის შემდეგ ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა აბორტის მაჩვენებელი 15-29 წლის ახალგაზრდებში, უახლესი არსებული მონაცემებით, 2018 წელს 10 243 აბორტი დაფიქსირდა და კოეფიციენტი შესაბამისი ასაკის ყოველ 1 000 ქალზე 30 შეადგინა<sup>43</sup>:



MICS6-ის მონაცემები აჩვენებს, რომ ხელოვნური აბორტის ჯამობრივი კოეფიციენტი (TIAR) საქართველოში 0,9094 შეადგენდა 2018 წელს. 1999 წელს ხელოვნური აბორტის ჯამობრივი კოეფიციენტი (TIAR) 3,7 შეადგენდა, 2005 წელს - 3,1; ხოლო 2010 წელს - 1.644. მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, ქვეყანაში ერთ ქალზე, ცხოვრების განმავლობაში ჩატარებული აბორტების საშუალო რაოდენობის სწრაფი კლების ტენდენცია აღინიშნება. თუმცა ხელოვნური აბორტის მონაცემთა ამგვარი კლება მოულოდნელია და დამატებით კვლევებს საჭიროებს.

ქართველოში მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS) თანახმად<sup>45</sup>, 20-24 წლის ასაკის ქალების 13.9% 18 წლამდე იყო დაქორწინებული, 15-19 წლის

<sup>42</sup> საქსტატი აბორტის მონაცემებს იღებს NCDC-დან, მონაცემები შემოდის კლინიკებიდან. აბორტების რიცხვის მნიშვნელოვანი კლება, როგორც მიქსის კვლევა ამბობს შესაძლოა დაკავშირებული იყოს აბორტების underreporting-თან ასევე, ის ფაქტი, რომ მედიკამენტური აბორტი ხშირ შემთხვევაში არ ტარდებოდა აბორტად.

<sup>43</sup> მნიშვნელოვანია, რომ აბორტების წილი 20 წლამდე ასაკის ქალებში შემცირდა და აბორტების საერთო რაოდენობის 2.2% შეადგინა. NCDC (2018) <https://www.ncdc.ge/Pages/User/News.aspx?ID=a9ee8a02-ef7a-4d3a-b510-39aefd5872da>; NCDC ითვლის ამ მაჩვენებელს ცალკე 15-19 და ცალკე ცალკე 20-29

<sup>44</sup> მოცემული მაჩვენებლები წარმოადგენს კვლევებამდე სამი წლის მაჩვენებელთა საშუალო არითმეტიკულს; მაგალითად 2010 წლის მონაცემი რეალურად შეესაბამება 2007 წლიდან 2010 წლამდე მონაცემთა საშუალო სიდიდეს.

<sup>45</sup> საქართველოში მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MICS) 2018-2019, გაეროს ბავშვთა ფონდი,

ახალგაზრდა ქალების 11.2% იმყოფება ქორწინებაში, ხოლო 0.3% - 15 წლამდებავშობის ასაკში ქორწინების გავრცელების თვალსაზრისით, განსხვავება არსებობს ქალაქისა და სოფლის ტიპის დასახლებებს, ასაკობრივ ჯგუფებს, ცხოვრების დონეს, რეგიონებს და განათლების მიღწეულ დონეს შორის. MICS კვლევის მონაცემები აჩვენებს, რომ ბავშვობის ასაკში ქორწინება უფრო ხშირად სოფლად ხდება - სადაც 20-დან 24 წლამდე ასაკის ქალების 25% 18 წლამდე დაქორწინდა - ვიდრე ქალაქებში (8%). ყველაზე დიდი ალბათობით, ეს პრობლემა უფრო მეტად ორ ყველაზე დაბალ ქონებრივ კვინტილში მოხვედრილი გოგონების წინაშე შეიძლება დადგეს, რაც ბავშვობის ასაკში ქორწინებასა და სიღარიბეს შორის კავშირზე მეტყველებს: 15-დან 19 წლამდე ასაკის გოგონების 24.9%-მა ყველაზე დაბალი ქონებრივი კვინტილიდან აღნიშნა, რომ ისინი დაქორწინებულები იყვნენ, ან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ, ყველაზე მაღალი ქონებრივი კვინტილიდან იმავე ასაკობრივი ჯგუფის გოგონების მხოლოდ 0.5%-თან შედარებით. განათლების დონეც მნიშვნელოვანი ფაქტორია: 18 წლამდე დაქორწინებული 20-24 წლის ქალების 46.5%-ს მხოლოდ დაწყებითი ან არასრული საშუალო სკოლა ჰქონდა დამთავრებული მაშინ, როდესაც ამავე ჯგუფის 3.1% უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობდა, ან სწავლა უკვე დასრულებული ჰქონდა<sup>46</sup>.

საქართველოს მაჩვენებელი 2,5-ჯერ აღემატებოდა დასავლეთ ევროპაში (კონკრეტულად ინგლისში) დაფიქსირებულ ყველაზე მაღალ მაჩვენებელს. რაც იმის მაჩვენებელია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების მაჩვენებელი სწრაფად დაეცა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, ეს მაჩვენებელი მაინც ძალიან მაღალი რჩება, ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით. (MICS 2018)


გოგონების 16-19 წლის ასაკში ქორწინების შემთხვევების სტატისტიკა 2014 წლიდან დღემდე შემდეგნაირია:

---

[https://www.unicef.org/georgia/ka/საქართველოში-მრავალინდიკატორული-კლასტერული-კვლევის-mics-ძირითადი-მიგნებები?fbclid=IwAR0b0njdcK3hG8t3msSkI5o6JrCKd5X0aBM\\_O2f-dWbbUIQRxzRoW58owb0](https://www.unicef.org/georgia/ka/საქართველოში-მრავალინდიკატორული-კლასტერული-კვლევის-mics-ძირითადი-მიგნებები?fbclid=IwAR0b0njdcK3hG8t3msSkI5o6JrCKd5X0aBM_O2f-dWbbUIQRxzRoW58owb0)

<sup>46</sup> საქართველოში მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MICS) 2018-2019, გაეროს ბავშვთა ფონდი, [https://www.unicef.org/georgia/ka/საქართველოში-მრავალინდიკატორული-კლასტერული-კვლევის-mics-ძირითადი-მიგნებები?fbclid=IwAR0b0njdcK3hG8t3msSkI5o6JrCKd5X0aBM\\_O2f-dWbbUIQRxzRoW58owb0](https://www.unicef.org/georgia/ka/საქართველოში-მრავალინდიკატორული-კლასტერული-კვლევის-mics-ძირითადი-მიგნებები?fbclid=IwAR0b0njdcK3hG8t3msSkI5o6JrCKd5X0aBM_O2f-dWbbUIQRxzRoW58owb0)





საქართველოში მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS) თანახმად<sup>47</sup> 15-29 წლის ახალგაზრდა ქალების 78% თავს უსაფრთხოდ გრძნობს საკუთარ უბანში შებინდების შემდეგ მარტო სიარულისას. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შემდეგი მაჩვენებლებია:

ასაკი	ძალიან უსაფრთხოდ %	უსაფრთხოდ %	ეშინია %	ძალიან ეშინია %	არასდროს სეირნობს მარტო %	უსაფრთხოდ გრძნობს თავს, სულ %
15-19	53.7	23.8	17.0	0.1	5.3	77.4
20-24	49.6	28.8	15.5	0.3	5.8	78.0
25-29	48.1	30.1	14.3	1.7	5.8	78.0

**შეჯამება:**

გენდერის მიმართულეებით არსებული ინდიკატორების შედარება წინა მონაცემებთან მნიშვნელოვანი კლების ტენდენციას გვიჩვენებს ისეთ საკვანძო მიმართულებებში, როგორებიცაა მოზარდთა შორის შობადობისა და აბორტის კოეფიციენტები; რაც შეეხება ნაადრევ ქორწინებას, სამწუხაროდ, ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრევალენტობის მაჩვენებელი საქართველოში, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ უცვლელი რჩება, 2010 RHS-ის მონაცემებთან შედარებით. MICS კვლევის ბოლო მონაცემები ასევე ადასტურებს, რომ ევროპულ ქვეყნებს შორის საქართველოში, ჯერ კიდევ ყველაზე მაღალი რჩება ბავშვობის ასაკში ქორწინების მაჩვენებლები, რაც ზეგავლენას ახდენს

<sup>47</sup> საქართველოში მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MICS) 2018-2019, გაეროს ბავშვთა ფონდი, [https://www.unicef.org/georgia/ka/საქართველოში-მრავალინდიკატორული-კლასტერული-კვლევის-mics-ძირითადი-მიგნებები?fbclid=IwAR0b0njdcK3hG8t3msSkI5o6JrCKd5X0aBM\\_O2f-dWbbUIQRxzRoW58owb0](https://www.unicef.org/georgia/ka/საქართველოში-მრავალინდიკატორული-კლასტერული-კვლევის-mics-ძირითადი-მიგნებები?fbclid=IwAR0b0njdcK3hG8t3msSkI5o6JrCKd5X0aBM_O2f-dWbbUIQRxzRoW58owb0)

გოგონებსა და ქალებზე, შესაბამისად, პრობლემის დაძლევის მიზნით უაღრესად მნიშვნელოვანი მულტი-სექტორული მიდგომის განხორციელება. თუმცა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური მნიშვნელოვან მონაცემებს გვაწვდის ახალგაზრდებზე ძალადობის მზარდ ტენდენციასთან დაკავშირებით, სადაც 2019 წელს 17-24 წლის ახალგაზრდების მიმართ ჩადენილი ძალადობის 972 შემთხვევიდან 855 შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლი მდედრობითი სქესის წარმომადგენლები არიან<sup>48</sup>. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად და ქალების მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად მიზანმიმართული ძალისხმევები გაგრძელდეს, ახალგაზრდული პოლიტიკა ითვალისწინებდეს თანაბარ შესაძლებლობებს ახალგაზრდა ქალებისა და მამაკაცებისათვის და ორივე მათგანი ერთნაირად სარგებლობდეს პოლიტიკის შედეგად შექმნილი სიკეთეებით.

---

<sup>48</sup> სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019 <https://info.police.ge/page?id=102>.

დანართი 1. ახალგაზრდობის ინდექსის მიმართულებები და ინდიკატორები

მიმართულება	ინდიკატორი	განმარტება	წყარო
1. განათლება	წიგნიერების დონე	15-24 წლის ახალგაზრდების რაოდენობა, რომელთაც შეუძლიათ წაიკითხონ და დაწერონ მარტივი ტექსტი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ	გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (იუნესკო)
	საბაზო განათლებაში ჩართულობა	საბაზო განათლებაში ჩართული ადამიანების პროცენტული წილი საბაზო განათლების ასაკის მქონე ადამიანებთან შეფარდებით	გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (იუნესკო)
	სწალის ნაადრევად შეწყვეტა	ახალგაზრდების რაოდენობა, რომელთაც ნაადრევად მიატოვეს სწავლა ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურზე	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
	ინტერნეტის გამოყენება	15-29 წლის ახალგაზრდების რაოდენობა, რომელთაც ბოლო 3 თვის განმავლობაში გამოიყენეს ინტერნეტი	სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. დასაქმება	უმუშევრობის დონე	უმუშევარი ახალგაზრდების პროცენტული წილი ეკონომიკურად აქტიურ ახალგაზრდებში	სტატისტიკის ეროვნული სამსახური
	ხანგრძლივი დროით უმუშევრობა	უმუშევარ ახალგაზრდებს შორის ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებიც ბოლო 12 თვის ან მეტი დროის მანძილზე ეძებენ სამსახურს	სტატისტიკის ეროვნული სამსახური
	NEET მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდები	ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც არ სწავლობენ, არ მუშაობენ და არ გადიან ტრენინგს	სტატისტიკის ეროვნული სამსახური
3. მონაწილეობა	მოხალისეობა	ახალგაზრდების პროცენტული წილი მთლიან ასაკობრივ ჯგუფში, რომელთაც ერთხელ მაინც შეუსრულებია	თაობა გარდამავალ პერიოდში, ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო

		მოხალისეობრივი სამუშაო გასული წლის განმავლობაში	
	მონაწილეობა არჩევნებში	ახალგაზრდების პროცენტული წილი მთლიან ასაკობრივ ჯგუფში, რომლებიც მონაწილეობენ არჩევნებში	თაობა გარდამავალ პერიოდში, ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო
	ახალგაზრდობის ინტერესების გათვალისწინება პოლიტიკურ დღის წესრიგში	ახალგაზრდების პროცენტული წილი მთლიან ასაკობრივ ჯგუფში, რომელიც თვლის, რომ პოლიტიკური დღის წესრიგი მათ ინტერესებს მნიშვნელოვნად ან გარკვეულწილად ითვალისწინებს	თაობა გარდამავალ პერიოდში, ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო
	წარმომადგენლობითობა პარლამენტში	30 წლამდე ასაკის პარლამენტის არჩეული წევრების პროცენტული წილი	ცენტრალური საარჩევნო კომისია
	სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის არსებობა	0 = არ არსებობს, 0.5 = გადამუშავების ან შემუშავების პროცესშია, 1 = არსებობს	საქართველოს მთავრობა
<b>4. უსაფრთხოება და სოციალური დაცვა</b>	სისხლის სამართლის სამართალდარღვევათა რაოდენობა	ახალგაზრდების მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის რაოდენობა 100 000 ახალგაზრდაზე	სტატისტიკის ეროვნული სამსახური
	სატრანსპორტო შემთხვევები	სატრანსპორტო უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილი ახალგაზრდების რაოდენობა ყოველ 100 000 ახალგაზრდაზე	სტატისტიკის ეროვნული სამსახური
	ძალადობის მაჩვენებელი	ახალგაზრდების მიერ ჩადენილი ძალადობის აქტების რაოდენობა 100 0000 ახალგაზრდაზე	შინაგან საქმეთა სამინისტრო
	სიღარიბეში მცხოვრები ახალგაზრდები	ახალგაზრდების პროცენტული წილი მთლიან ასაკობრივ ჯგუფში, რომლებიც ცხოვრობენ	შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

		სიღარიბის ზღვართან ან ზღვარს მიღმა, იღებენ ფულად სოციალურ დახმარებას (საარსებო შემწეობას)	
5. ჯანმრთელობა	ფიზიკური აქტივობა	ახალგაზრდების რეგულარული (3 დღე/3 საათი კვირის განმავლობაში) ფიზიკური აქტივობა	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
	სიკვდილიანობა	15-29 წლის ახალგაზრდების სიკვდილიანობის მაჩვენებელი შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის 1000 მოსახლეზე	სტატისტიკის ეროვნული სამსახური
	ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	15-24 წლის ახალგაზრდებში ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის შემთხვევები შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის 100 000 მოსახლეზე	შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო
	სრულყოფილი ცოდნა აივ ინფექციის პრევენციის შესახებ	15-29 წლის ახალგაზრდების პროცენტული წილი მთლიან ასაკობრივ ჯგუფში, რომელთაც იციან აივ-ის პრევენციის ორი გზის შესახებ (მხოლოდ ერთი, არაინფიცირებული, ერთგული სქესობრივი პარტნიორის ყოლა და ყოველი სქესობრივი კავშირისას პრეზერვატივის გამოყენება), იციან რომ აივ-ინფიცირებული ადამიანი შესაძლოა ჯანმრთელად გამოიყურებოდეს და რომელთაც უარყვეს ორი ყველაზე გავრცელებული მცდარი შეხედულება აივ-ის გადაცემის შესახებ	საქართველოში მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MICS)
	მარიხუანას მოხმარება	მარიხუანას მოხმარება ცხოვრების ბოლო 30 დღის განმავლობაში.	ნარკოტიკის მოხმარებისა და სხვა პრობლემური

			ქვეყნის რისკ და დამცავი ფაქტორების კვლევა საქართველოს მოზარდებსა და ახალგაზრდებში. 2019 წ. საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“
	სუიციდის მცდელობა	15-29 წლის ახალგაზრდებში განზრახ თვითდაზიანების მცდელობის და მის შედეგად გარდაცვალების შემთხვევები ყოველ 100 000 ახალგაზრდაზე	შინაგან საქმეთა სამინისტრო
<b>6. გენდერი</b>	მოზარდთა შორის შობადობა	15-19 წლის მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი შესაბამისი ასაკის 1000 ქალზე	სტატისტიკის ეროვნული სამსახური
	აბორტების რაოდენობა	15-29 წლის ასაკში აბორტების რაოდენობა ყოველ 1000 ქალზე	სტატისტიკის ეროვნული სამსახური
	ბავშვობის ასაკში ქორწინება	15-19 წლის ახალგაზრდა ქალების პროცენტული წილი მთლიან ასაკობრივ ჯგუფში, რომლებიც იმყოფებიან ქორწინებაში	საქართველოში მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MICS)
	უსაფრთხოების განცდა ქალებში	15-29 წლის ახალგაზრდა ქალების პროცენტული წილი, რომლებიც თავს უსაფრთხოდ გრძნობს საკუთარ უბანში შებინდების შემდეგ მარტო სიარულისას	საქართველოში მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MICS)

## დანართი 2. მეთოდოლოგია

ინდექსის ინდიკატორების შერჩევა ეფუძნება პრინციპებს, რომ ისინი:

- უნდა იყოს ახალგაზრდებზე მორგებული, გაზომვადი და ადვილად გასაგები;
- სადაც შესაძლებელია, მათზე არსებობდეს მონაცემები წინა წლების მიხედვით, რათა შესაძლებელი იყოს დინამიკის ანალიზი;
- ეფუძნებოდეს სანდო წყაროს და, სადაც შესაძლებელია, ხდებოდეს რამდენიმე წყაროდან გადამოწმება;



- არსებობდეს შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა, რომლის დახმარებითაც მოხდება მონაცემების ანალიზი;
- ჰქონდეს კონცეპტუალური საფუძველი.

მონაცემების ანალიზი ხორციელდება რეგიონების, ქალაქი-სოფლის, ასაკობრივი ჯგუფების და გენდერის კრილში, საზღვრისპირა და მაღალმთიანი დასახლებების გათვალისწინებით, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, ასევე სხვა წლებთან შედარებით, რომ ნაჩვენები იქნას განვითარების დინამიკა. გარდა ამისა, მონაცემთა ანალიზისას გათვალისწინებული უნდა იყოს სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდების (როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტით), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების მდგომარეობა.

ყველა ინდიკატორს არ აქვს თანაბარი მნიშვნელობა ახალგაზრდების მდგომარეობის შეფასების თვალსაზრისით. ამ განსხვავების გასათვალისწინებლად თითოეულ მიმართულებასა და ინდიკატორს მინიჭებული აქვს გარკვეული წონა, რაც განსაზღვრავს მის პროცენტულ შემადგენლობას საერთო ქულაში. ინდიკატორების შეწონვის სხვადასხვა გზა არსებობს. ინდექსში გამოყენებული მეთოდი ეფუძნება არსებულ მტკიცებულებებსა და პრაქტიკას, ექსპერტების მოსაზრებებს, მონაცემთა სანდოობას და ნორმატიულ შეფასებას:

დომენი	მიმართულების წონა %	ინდიკატორი	ინდიკატორის წონა %
1. განათლება	20	წიგნიერების დონე	6
		საბაზო განათლებაში ჩართულობა	5
		სწალის ნაადრევად შეწყვეტა	5
		ინტერნეტის გამოყენება	4
2. დასაქმება	19	უმუშევრობის დონე	6
		ხანგრძლივი დროით უმუშევრობა	6
		NEET მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდები	7
3. მონაწილეობა	15	მოხალისეობა	3
		მონაწილეობა არჩევნებში	4
		ახალგაზრდობის ინტერესების გათვალისწინება პოლიტიკურ დღის წესრიგში	3
		წარმომადგენლობითობა პარლამენტში	3

		სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის არსებობა	2
4. უსაფრთხოება და სოციალური დაცვა	13	სამართალდარღვევათა რაოდენობა	3
		სატრანსპორტო შემთხვევები	3
		ძალადობის მაჩვენებელი	3
		სიღარიბეში მცხოვრები ახალგაზრდები	4
5. ჯანმრთელობა	21	ფიზიკური აქტივობა	3
		სიკვდილიანობა	5
		ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	3
		სრულყოფილი ცოდნა აივ ინფექციის პრევენციის შესახებ	3
		მარიხუანას მოხმარება	3
		სუიციდის შემთხვევა	4
6. გენდერი	12	მოზარდთა შორის შობადობა	3
		აბორტების რაოდენობა	3
		ბავშვობის ასაკში ქორწინება	3
		უსაფრთხოების განცდა ქალებში	3

სხვადასხვა მნიშვნელის მქონე ინდიკატორების შედარებისა და გაერთიანებისთვის ერთიან ქულაში, ინდიკატორის ნორმალიზაციის მეთოდია გამოყენებული. მონაცემები თითოეული ინდიკატორისთვის ფასდება 0-დან 1-მდე, სადაც უმაღლესი (ან უდაბლესი) ღირებულება იღებს 1 ქულას, ხოლო უდაბლესი (ან უმაღლესი) 0-ს. ნებისმიერ შემთხვევაში, ერთი წარმოადგენს უმაღლეს შეფასებას ახალგაზრდების მდგომარეობის შესაფასებლად, ხოლო ნული - უდაბლესს. მაგალითისთვის, ფიზიკური აქტივობის უმაღლესი მაჩვენებელი იქნება 1-ის ტოლი, მაგრამ თამბაქოს მოხმარების - 0, რადგან ისინი წარმოადგენენ ახალგაზრდების პოზიტიურ და ნეგატიურ მდგომარეობას.

თითოეული მიმართულების ინდექსი გამოითვლება ინდიკატორების საშუალო მაჩვენებელიდან, ხოლო საბოლოო ინდექსი წარმოადგენს მიმართულების საშუალო მაჩვენებელს:

$$6 * \text{წიგნიერების დონე} + 5 * \text{საბაზო განათლებაში ჩართულობა} + 5 * \text{სწავლის ნაადრევად შეწყვეტა} + 4 * \text{ინტერნეტის გამოყენება}$$

განათლების ინდექსი =

---

20

20\*განათლება + 19\*დასაქმება + 15\*მონაწილეობა +  
13\*უსაფრთხოება + 21\*ჯანმრთელობა + 12\*გენდერი

---

ახალგაზრდობის

განვითარების ინდექსი =

100

ინდიკატორების გამოთვლის, მათ შორის, დადებითი და უარყოფითი ინდიკატორების შეჯერების წესი დეტალურად აღწერილია 2016 წელს ერთა თანამეგობრობის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში „თანამეგობრობის ახალგაზრდობის განვითარების ინდექსი. ეროვნული და რეგიონული სახელმძღვანელო (რეგიონული და ეროვნული ახალგაზრდობის განვითარების ინდექსის გზამკვლევი)“<sup>49</sup>.

---

<sup>49</sup> Commonwealth Youth Development Index, National and Regional Toolkit: A Guide for Developing Regional and National Youth Development Indices, 2016.

დანართი 3. ინდექსის კალკულაცია

დომენი	მიმართულების წონა %	ინდიკატორი	ინდიკატორის წონა %	ინდიკატორის მაჩვენებელი	ჯამი	ინდექსი
1. განათლება	20	წიგნიერების დონე	6	99.64%	19.3814	0.97
		საბაზო განათლებაში ჩართულობა	5	105.98%		
		სწალის ნაადრევად შეწყვეტა	5	8.9%		
		ინტერნეტის გამოყენება	4	96.2%		
2. დასაქმება	19	უმუშევრობის დონე	6	24.1%	13.846	0.73
		ხანგრძლივი დროით უმუშევრობა	6	26.1%		
		NEET მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდები	7	30.6%		
3. მონაწილეობა	15	მოხალისეობა	3	27%	4.841	0.32
		მონაწილეობა არჩევნებში	4	52%		
		ახალგაზრდობის ინტერესების გათვალისწინება პოლიტიკურ დღის წესრიგში	3	25%		
		წარმომადგენლობითობა პარლამენტში	3	0.67%		
		სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის არსებობა	2	0.5		

4. უსაფრთხოება და სოციალური დაცვა	13	სამართალდარღვევათა რაოდენობა	3	755 (100 000-ზე)	7.469	0.57	
		სატრანსპორტო შემთხვევები	3	19 (100 000-ზე)			
		ძალადობის მაჩვენებელი	3	76 (100 000-ზე)			
		სიღარიბეში მცხოვრები ახალგაზრდები	4	10.4%			
5. ჯანმრთელობა	21	ფიზიკური აქტივობა	3	19%	9.719	0.46	
		სიკვდილიანობა	5	74 (100 000-ზე)			
		ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	3	175 (100 000-ზე)			
		სრულყოფილი ცოდნა აივ ინფექციის პრევენციის შესახებ	3	13.5%			
		მარიხუანას მოხმარება	3	15.78%			
		სუიციდის შემთხვევა	4	39 (100 000-ზე)			
6. გენდერი	12	მოზარდთა შორის შობადობა	3	29 (1000-ზე)	9.153	0.76	
		აბორტების რაოდენობა	3	30 (1000-ზე)			
		ბავშვობის ასაკში ქორწინება	3	13.9%			
		უსაფრთხოების განცდა ქალებში	3	78%			
<b>ახალგაზრდობის განვითარების ინდექსი შეადგენს: 0.6426</b>							